



IFLA (იფლა) – საბიბლიოთეკო ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია

IFLA/UNESCO-ს სახელმძღვანელო მითითებები

ინტერნეტის შესახებ

(IFLA Internet Manifesto: <http://www.ifla.org/III/misc/internetmanif.htm>)

2010

IFLA/UNESCO-ს სახელმძღვანელო მითითებები
ინტერნეტის შესახებ

მადლიერება

ეს დოკუმენტი შექმნილია მრავალი ადამიანის ძალისხმევით. განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ სუსან სეიდელინს, პოლ სტარჟესს, შურდ კუპმანს, მართა კასტროს, მართა ტერის, გონზალო ოიარზუნს, ჩარლზ ბატამბაზეს, დიკ კავუიას, დიანა როზენბერგს, ელიადეს აკოსტას, სუელი მარა ფერიერიას, ელენის კასტროს, ანს ქულენს, კლაუდია როდრიგესს, ქელსო მუსინოს, ლენა ვანია რიბეროს, მონიქ ალბერტს, გლორია სამამს, სილვია პრადას, ესთერ პაილოსს, არჩი დიკს, ჯუზეპე ვიტელიოს, ირინა ტრუშინას, გოპაკუმარ კ. ტამპის, აბდელაზიზ აბიდს, ელიზაბეთ ლონგუორთს და კატია რომერს. ასევე მადლობა სემინარების ყველა მონაწილესა და ყველას, ვინც კონსულტაციების პროცესში შენიშვნები გამოთქვა.

სტიუარტ ჰამილტონი
IFLA/FAIFE

ჩვენ გვინდა მადლიერება გამოვხატოთ ასევე იფლა-ს კომიტეტის წევრებისა და იფლა-ს საბავშვო და საყმაწვილო ბიბლიოთეკების სექციიდან ლარს აგარის მიმართ შემაჯამებელი კონსულტაციების დროს გაკეთებული იმ ღირებული შენიშვნებისათვის, რამაც 2006 წლის სექტემბერში ხელი შეუწყო დოკუმენტის არსებული რედაქციით შექმნას.

სუსან სეიდელინი
IFLA/FAIFE -ს ოფისის დირექტორი
2006 წლის სექტემბერი

წინასიტყვაობა

იფლა/იუნესკო-ს სახელმძღვანელო მითითებანი დასრულებული დოკუმენტია, მაგრამ ამასთან ერთად, ეს არის ნაშრომი, რომლის სრულყოფაც გრძელდება. არ არსებობს რეკომენდაციების იმგვარი ნაკრები, რომლებიც შეინარჩუნებენ თავიანთ აქტუალურობას დროის ხანგრძლივ მონაკვეთში, რადგან იცვლება ტექნოლოგიები, პრობლემის მნიშვნელობის დასადგენი მიდგომები. ამ საკითხებზე მომუშავეებს არ აქვთ პრეტენზია ნათელმხილველობაზე და შეიძლება ამ დოკუმენტში იმ პრობლემაზე, რომლითაც ყველა დაკავებული იყო უკანასკნელი 5 წლის მანძილზე, იმაზე ნაკლები იყოს ნათქვამი, ვიდრე შეიძლება თქმულიყო და არ იყოს მოცემული მკაფიო რეკომენდაციები ისეთ საკითხებზე, რომლებიც უახლოესი წლების მანძილზე შესაძლოა აქტუალური გახდეს.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ მითითებათა შემუშავების პროცესი იმგვარად იყო დაგეგმილი, რომ ის მაქსიმალურად ქმედითი ყოფილიყო. სახელმძღვანელო მითითებათა ამოსავალ წერტილს წარმოადგენს იფლა-ს 2002 წლის მანიფესტი ინტერნეტის შესახებ, რომელშიც ზოგადად უკვე იყო მოცემული პრაქტიკული რეკომენდაციები. უფრო კონკრეტული მითითებები, რომლებიც მასშია მოცემული, გაჩნდა იფლა-ს მიერ ბოლო წლებში ჩატარებული სამუშაოების შედეგად. კვლევების უმეტესი ნაწილი შესრულებულია სტიუარტ ჰამილტონის მიერ (Stuart Hamilton, რომლის ნაყოფიერი მუშაობა FAIFE-ში განხორციელებული კვლევების ხელმძღვანელის რანგში სახელმძღვანელო მითითებების ზოგადი სახით შედგენის შემდეგ პრაქტიკულად დასრულდა. სხვადასხვა ქვეყნებში სემინარების სახით ჩატარებულმა კონსულტაციებმა ხელი შეუწყო დოკუმენტში განსახილველ საკითხებზე სპეციალისტ-პრაქტიკოსების თვალსაზრისის მკაფიო და გასაგები სახით ჩამოყალიბებას. მრავალრიცხოვანი მასალის დამუშავების შემდეგ 2006 წლის დასაწყისში შედგა დოკუმენტის პროექტი. შემდეგ ეს პროექტი დაწვრილებით იქნა განხილული ექსპერტთა ჯგუფის მიერ ლონდონში 27-28 მარტს სამედიცინო სამეფო საზოგადოების მიერ ჩატარებულ სემინარზე.

ამ სახელმძღვანელოს მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს მისი შექმნის ინიციატივა, რომელიც მნიშვნელოვანწილად, მოდიოდა იმ ქვეყნებიდან,

რომლებიც ვარაუდობენ, რომ მათ ინტერნეტის პრობლემებისაგან შორს მდგომ ქვეყნებად თვლიან. FAIFE არავითარ შემთხვევაში არ თვლის პერიფერიაზე მყოფ ქვეყნებად განვითარებადი სამყაროს ქვეყნებს, ახლადგანვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყნებს და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს, რომლებიც აქტიურად არ მონაწილეობდნენ იფლა-ს კომიტეტების მუშაობაში. კონსულტაციების ადგილად ლონდონის და სემინარებში ექსპერტთა მონაწილეობის შერჩევა შეგნებულად იმგვარად განისაზღვრა, რომ ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპაში, ასევე ჩრდილოეთ ევროპაში შემუშავებული და დომინირებული კონცეფციები შეჯერებულიყო მსოფლიოს სხვა ადგილებში წარმოშობილ იდეებთან.

ამ მითითებათა დანიშნულებაა, სტიმულირება გაუწიოს აზრს და უბიძგოს ქმედებისაკენ. ის არ უნდა აღიქმებოდეს წესების ნაკრებად და არასწორი იქნებოდა დოკუმენტის შინაარსის უბრალო სურვილად მიჩნევა. ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სახელმძღვანელო მითითებებს დიდი პოტენციალი აქვთ. ამ რეკომენდაციებს შეუძლიათ დიდი დახმარება გაუწიონ მრავალ დაწესებულებას იმ რთული პრობლემების გადაჭრისას, რომლებიც წარმოიშობა ინტერნეტზე დაშვების დროს. მოცემული მითითებები შეიძლება საფუძვლად დაედოს დოკუმენტების შემდგომ დამუშავებას არა მხოლოდ ბიბლიოთეკებში, რომელთათვისაც ის პირველ რიგში არის განკუთვნილი, არამედ სრულიად განსხვავებული ტიპის დაწესებულებებში. IFLA-სა და FAIFE-თვის ეს მითითებანი ორგანიზაციის საბიუჯეტო გეგმაში უკვე შეტანილი კვლევებისა და განხილვებისთვის ამოსავალი წერტილი გახდება.

მე ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია რეკომენდაცია გავუწიო ყველას, ვისთვისაც სასარგებლო აღმოჩნდება, გამოიყენონ იფლას მანიფესტი ინტერნეტის შესახებ და დაგარწმუნოთ, რომ აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებული შენიშვნებს და მითითებებს ყოველთვის დიდი მადლიერებით მივიღებ.

პოლ სტარჟესი

IFLA/ FAIFE-ს კომიტეტის თავმჯდომარე

ს ა რ ჩ ე ვ ი

- წინასიტყვაობა
- პროცესი
- პრეამბულა
- IFLA-ს სახელმძღვანელო მითითებანი მანიფესტზე
- განმარტებანი
- დანართი (IFLA-ს მანიფესტი ინტერნეტის შესახებ)

პ რ ო ც ე ს ი

1. იფლა-ს მანიფესტი ინტერნეტის შესახებ

იფლა-ს საბჭომ 2002 წელს მოიწონა იფლა-ს მანიფესტი ინტერნეტის შესახებ. მას შემდეგ ის 19 ენაზე ითარგმნა და მიღებულ იქნა 27 ქვეყნის საბიბლიოთეკო ასოციაციების მიერ .

ზოგადად, მანიფესტებში მოცემულია საერთო ღირებულებებისა და მოღვაწეობის პრინციპების აღწერა და სამუშაოს ორგანიზების საუკეთესო მეთოდების ხედვა. იფლა-ს ინტერნეტის შესახებ მანიფესტის შემთხვევაში, ღირებულებები, რომლებზედაც აქ არის საუბარი, უკავშირდება ინტერნეტში ინფორმაციის თავისუფალი ხელმისაწვდომობის შენარჩუნებას. ამ ამოცანის გადასაწყვეტად, მანიფესტში მოცემულია მიზნობრივი მითითებები პროგრამების, მომსახურებისა და ბიბლიოთეკებში იმ კადრების შერჩევაზე, რომლებთაც კავშირი აქვთ ინტერნეტთან. იგი წარმოადგენს მომსახურების რაოდენობის, ხარისხისა და მოცულობის ნიმუშს, აგრეთვე, ბიბლიოთეკებში ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის მოთხოვნებთან შესაბამისობას. საბიბლიოთეკო საზოგადოების ჩარჩოებში გადაწყვეტილების მიღებისა და მათი განხორციელების თვალსაზრისით ის იდეალურ ტრაფარეტსაც წარმოადგენს.

იფლა-ს მანიფესტი ინტერნეტის შესახებ შეიქმნა იმგვარ დოკუმენტზე გაცნობიერებული მოთხოვნების წყალობით, რომელიც თავისუფალი გამოხატვისა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ტრადიციულ საბიბლიოთეკო ღირებულებებს ინტერნეტის საუკუნეში გადაიტანდა. ეს დოკუმენტი კიდევ ერთხელ ამტკიცებს ბიბლიოთეკის მუშაკთა ერთგულებას ამ ღირებულებებისადმი და მათ მნიშვნელობას საბიბლიოთეკო მომსახურების გაწევისას. მართალია, მანიფესტი წარმოადგენს ზოგადი ხასიათის დოკუმენტს, გაცხადებული ღირებულებების რეალური შესრულებისთვის თითოეულ სამუშაო ადგილზე უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო, ვიდრე მის ტექსტში მოცემული იდეალებისადმი ერთგულების სიტყვიერი აღიარება. მანიფესტში გაცხადებული მიზნების მისაღწევად, ბიბლიოთეკებსა და ინფორმაციის სპეციალისტებს, ჩინოვნიკებს, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს და თანამდებობის პირებს განათლების სფეროში თავის განკარგულებაში უნდა ჰქონდეთ რაღაც უფრო კონკრეტული. ეს შეიძლება იყოს რეკომენდაციების ნაკრები, რომლებსაც იფლა-ს ინტერნეტის შესახებ მანიფესტში მოცემული პრობლემების უფრო ყურადღებიანი შესწავლით შეუძლიათ დაგვეხმარონ ჩვენი მიზნების მიღწევაში.

2. იფლა/იუნესკო-ს სახელმძღვანელო მითითებები იფლა-ს მანიფესტზე ინტერნეტის შესახებ

სახელმძღვანელო მითითებანი შედგება წესებისაგან, რომლებიც სასარგებლო იქნება სტანდარტული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელო მითითებებში ძირითადად ჩამოყალიბებულია ხარისხობრივი კრიტერიუმები და არ განიხილება რაოდენობრივი, მასში განსაზღვრულია ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს პროგრამის ეფექტიანობას და წარმოგიდგენს მოცემულ სფეროში შედეგიანი მოღვაწეობის ხელშემწყობ რეკომენდაციებს. ინტერნეტ მანიფესტის სახელმძღვანელო მითითებები განკუთვნილია ბიბლიოთეკებში ინტერნეტის ხელმისაწვდომობის პროგრამებისთვის და ეხება მომსახურების წესებსა და მუშაობის მეთოდებს, რომელთა საშუალებითაც ბიბლიოთეკების ყოველდღიურ ცხოვრებაში მოხდება ინტერნეტის შესახებ

მანიფესტის ღირებულებათა განხორციელება. სახელმძღვანელო მითითებანი განკუთვნილია ბიბლიოთეკებში ქსელური ინფორმაციის საზოგადოებრივი ხელმისაწვდომობის სტრატეგიის შემუშავებაში საბიბლიოთეკო საქმისა და ინფორმაციის სფეროს სპეციალისტების, თანამდებობის პირებისა და პოლიტიკოსების დასახმარებლად. თუმცა სახელმძღვანელოს არ აქვს მისი მომხმარებლისათვის სავალდებულო ხასიათი და არც იურიდიულ პასუხისმგებლობას აკისრებს მომხმარებელს. ამის ნაცვლად იგი უზრუნველყოფს ინტერნეტში ინფორმაციასთან თავისუფალი დაშვებისა და გამოხატვის თავისუფლების გარანტიის ჩარჩოებს, აგრეთვე, დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას კულტურის ისეთ დაწესებულებებში, როგორებიცაა ბიბლიოთეკები.

3. მიზნობრივი აუდიტორია და მეთოდოლოგია

ეს დოკუმენტი განკუთვნილია იმ ბიბლიოთეკებისა და ბიბლიოთეკარებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფენ ინტერნეტზე საზოგადოებრივ ხელმისაწვდომობას. პირველ რიგში მხედველობაშია საჯარო ბიბლიოთეკები, მაგრამ ეს სახელმძღვანელო მითითებანი სასარგებლო იქნება სასკოლო, სამეცნიერო და სპეციალიზირებული ბიბლიოთეკებისთვის ინტერნეტთან დაშვების პოლიტიკის შესამუშავებლად, რაც ითვალისწინებს გამოხატვის თავისუფლებას და ინტერნეტში მოცემულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის თავისუფლებას. უფრო მეტიც, ეს დოკუმენტი იფლა-ს მანიფესტს ინტერნეტის შესახებ ახალ მიმართულებას აძლევს, აქცენტი გადააქვს მომხმარებელთა უფლებებზე, რაც მას სინამდვილეში გადააქცევს საბიბლიოთეკო საზოგადოების მიერ მომზადებულ დოკუმენტად, რომელშიც დაცულია და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მომხმარებლის უფლებები ბიბლიოთეკაში ინტერნეტით ინფორმაციის მოპოვებაზე.

იმისათვის, რომ სახელმძღვანელო მითითებები საერთაშორისო საბიბლიოთეკო ასოციაციის ყველა წევრისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტი გამხდარიყო, საჭირო იყო ისეთი მეთოდოლოგიის შემუშავება, რომელიც ითვალისწინებს არა მხოლოდ ინდუსტრიულად განვითარებული საზოგადოების,

არამედ განვითარებადი ქვეყნების წევრთა მოთხოვნებსაც. მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელოს ამოსავალ წერტილად აღებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-19 მუხლი, კულტურის საკითხებში დასავლეთის ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების აღიარებასთან ერთად აუცილებელი იყო სხვა კულტურათა ღირებულებების მხედველობაში მიღება. სტანდარტებისა და რეკომენდაციების შემუშავება ეფუძნება იმ აუდიტორიის მოთხოვნათა განსაზღვრას და საერთო ენის გამონახვის მცდელობას, რომლისთვისაც არის ეს დოკუმენტი განკუთვნილი. პროცესი, რომლის შედეგსაც წარმოადგენს ეს მითითება, ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვებოდა გეგმას, რომლის მიზანიც იყო ბიბლიოთეკების ყველა მომხმარებლის და არა მხოლოდ მათი მოთხოვნების გათვალისწინება, ვინც ცხოვრობს ინტერნეტის თანამედროვე ინფრასტრუქტურის მქონე მაღალგანვითარებულ ქვეყნებში. ამიტომ პროცესი დაიწყო ჩვენს სფეროში არსებული სტანდარტებისა და რეკომენდაციების შესწავლით, მანიფესტისა და თვით იფლა-ს მისამართით გამოთქმული კრიტიკის ჩათვლით. აქედან გამომდინარე, განისაზღვრა ის ქვეყნები, რომელთაც შეეძლოთ თავის ქვეყნებში მანიფესტის განხილვასთან დაკავშირებული სემინარების ჩატარება და სახელმძღვანელოსთვის იდეების შეთავაზება. კარგად ორგანიზებული სემინარები ჩატარდა კამპალაში, უგანდა (2004 წლის ივნისი), სანკტ-პეტერბურგში, რუსეთი (2005 წლის მარტი), ჰავანაში, კუბა (2005 წლის ნოემბერი) და სანტიაგოში, ჩილე (2006 წლის იანვარი). ცალკეულ შემთხვევებში სემინარები 2 დღე გრძელდებოდა. ამ ყველაფერმა საშუალება მოგვცა მიგველო ინფორმაცია ინტერნეტის ხელმისაწვდომობის მდგომარეობაზე უფრო ვრცელ რეგიონებში. ამ სემინარებში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ქვეყნის წამყვანი სპეციალისტები, რომლებმაც გაგვიზიარეს ინფორმაცია იმ პრობლემებზე, რომლებიც შეეხებოდა ინტერნეტის ხელმისაწვდომობას ბიბლიოთეკებში და გადაწყვეტილებებზე, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია არსებული წინააღმდეგობების დაძლევა.

თითოეული სემინარის შემდეგ კეთდებოდა პრაქტიკული გამოცდილების ანალიზი და შეფასება, ხოლო მიღებული ინფორმაცია მხედველობაში მიიღებოდა სახელმძღვანელო მითითებების პროექტში. 2006 წლის მარტში ეს დოკუმენტი ორი დღის მანძილზე განიხილებოდა საბიბლიოთეკო საქმისა და ინფორმაციის სპეციალისტების წამყვანი ჯგუფის მიერ, რომლის შედეგადაც გაჩნდა ამ დოკუმენტის მეორე რედაქცია. ეს რედაქცია შემდგომ განთავსდა იფლა-სა და

იუნესკო-ს საიტებზე და მისი არსებობის შესახებ ცნობილი გახდა ადრესატების სიის საშუალებით IFLA-სა და FAIFE-ს ჩათვლით. ასევე დაიგზავნა მიმართვა საკუთარი აზრისა და კრიტიკული შენიშვნების გამოთქმის თხოვნით, რის შემდეგაც დოკუმენტის პროექტში შეტანილ იქნა ცვლილებები.

მთლიანობაში, ეს პროცესი მიმართული იყო ყველა დაინტერესებული მხარის: ბიბლიოთეკების, საბიბლიოთეკო ასოციაციებისა და მაღალი თანამდებობების პირთა მოზიდვაზე, რაც უზრუნველყოფდა ინდივიდუალური წვლილის შეტანას საბოლოო შედეგში. სემინარებისა და კონსულტაციების მონაწილეებმა შესაძლებლობა მიიღეს მკაფიოდ და სრულად გადმოეცათ თავიანთი თვალსაზრისი და გაცნობოდნენ სხვისას. საბოლოო ჯამში, სახელმძღვანელო მითითებები წარმოდგენილია პროცესის თითოეული მონაწილის ინტერესის შესაბამის დონეზე და უკვე შეგვიძლია ვისაუბროთ IFLA-ს ინტერნეტის შესახებ მანიფესტის რეალიზაციის მეთოდის არსებობაზე.

4. სახელმძღვანელო მითითებების პოტენციალი

ივლა/იუნესკო-ს ინტერნეტის შესახებ სახელმძღვანელო მითითებებში, ჩადებულია უზარმაზარი პოტენციალი ბიბლიოთეკართა დასახმარებლად, რაც ითვალისწინებს მომავალში ინტერნეტით ინფორმაციის თავისუფლად მოპოვების დაცვას. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს დოკუმენტი სასარგებლო იქნება როგორც საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მეცნიერებათა სასწავლო კურსის ნაწილი, ან უნივერსიტეტის ზოგიერთი სხვა კურსისთვის, აგრეთვე გამოყენებული იქნება შემდგომი პროფესიული განათლებისთვის და ბიბლიოთეკებში ინტერნეტთან დაშვების შესახებ მოწყობილ სემინარებზე. სახელმძღვანელოში დამატებითი მასალების პოვნა შეუძლიათ ინფორმაციის თავისუფლებისა და ინტერნეტთან თავისუფალი დაშვებისთვის მოღვაწე აქტივისტებს. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ სახელმძღვანელო მითითებები შესაძლებლობას აძლევს მომხმარებლებს უფრო მყარად დაიცვან თავიანთი უფლებები ბიბლიოთეკებში ინტერნეტით სარგებლობაზე.

ამას უნდა დავამატოთ, რომ ამ დოკუმენტის გამოქვეყნების შემდეგ FAIFE-ს გადაწყვეტილი აქვს ინტერნეტზე თანასწორუფლებიანი დაშვების ერთობლივ პროექტზე სამუშაოდ ჩართოს იფლა-ს რეგიონალური ოფისებიც. ამგვარი პროექტის მიზანს წარმოადგენს ბიბლიოთეკებში ინტერნეტთან თანასწორი დაშვების უზრუნველსაყოფად დახმარება გაუწიოს საბიბლიოთეკო საქმის სფეროს სპეციალისტებს. ეს პროექტი ითვალისწინებს ცოდნის გაცვლას მსოფლიოს ყველა რეგიონში სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების საშუალებით – სასურველია წელიწადში სამი სემინარის ჩატარება სამი-ოთხი წლის მანძილზე. ამას გარდა, ნავარაუდევია ახალგაზრდა სპეციალისტების გაცვლა, ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აფრიკას, აზიასა და სამხრეთ ამერიკას, სადაც მოსახლეობის ყველაზე დაბალ პროცენტს მიუწვდება ხელი ინტერნეტზე. შესაბამის საერთაშორისო პარტნიორებთან, როგორებიცაა იუნესკოს პროგრამა “ინფორმაცია ყველა პროგრამისთვის” (IFAP) და იფლა-ს სტრუქტურებთან: ALP (მოღვაწეობა განვითარებისთვის ბიბლიოთეკების საშუალებით – Action for Development Through Libraries) და NDPG (სპეციალისტების ახალი სადისკუსიო ჯგუფი - New professionals Discussion Group) მუშაობის მსვლელობისას პროექტი უნდა დამუშავებულიყო დეტალურად და მასზე გაწეული დანახარჯები უნდა გათვალისწინებულიყო ბიუჯეტში.

თუ იფლა-ს სახელმძღვანელო მითითებებს განვიხილავთ მთლიანობაში სკოლებისა და საჯარო ბიბლიოთეკების შესახებ (მათ თანმდევ სახელმძღვანელოებთან ერთად) ადრე გამოქვეყნებულ მანიფესტებთან ერთად, შევნიშნავთ, რომ იფლა-მ და იუნესკო-მ შექმნეს სამი დოკუმენტი, რომელთაც შეუძლიათ დიდი დახმარება გაუწიონ საბიბლიოთეკო საქმისა და ინფორმაციის დარგის სპეციალისტებს 21-ე საუკუნის შესაბამისი დონის საბიბლიოთეკო მომსახურებაში.

უფრო მეტიც, ეს სახელმძღვანელო შეესაბამება 2003 წელს ჟენევაში და 2005 წელს ტუნისში¹ ჩატარებული საინფორმაციო საზოგადოების მსოფლიო სამიტის დეკლარაციის პრინციპებს. ის ასევე წარმოადგენს საინფორმაციო საზოგადოების

¹ წყარო: <http://www.itu.wsis/docs/geneva/official/dop.html>, იხ. აგრეთვე საინფორმაციო საზოგადოების მსოფლიო სამიტი/ МК иМК РФ, РНБ, РБА, РОСЮ ком Программы ЮНЕСКО „Информация для всех». Сост. Е.И. Кузьмин, В.Р. Фирсов. СПб.: РНБ, 2004.136с.

მსოფლიო სამიტის მსვლელობისას ივლა-ს მიერ მიღებული ალექსანდრიის ბიბლიოთეკების შესახებ მანიფესტის “საინფორმაციო საზოგადოება მოქმედებაში” – დეკლარაციის დამატებას. ეს დეკლარაციები ორიენტირებულია ადამიანებზე, ღია ყველასთვის და მიმართულია ისეთი საზოგადოების განვითარებაზე, სადაც თითოეული ადამიანისთვის ხელმისაწვდომი იქნება ცოდნის მიღება და მისი გაცვლა ინფორმაციისა და გამოხატვის თავისუფლების შეუზღუდავი უფლების პირობებში. ივლა/იუნესკო-ს სახელმძღვანელო დოკუმენტებთან ერთად ივლა-ს მანიფესტი ინტერნეტის შესახებ ზოგადად წარმოადგენს მომსახურების სტრატეგიასა და მისი რეალიზაციის მეთოდებს, რომლებიც მიმართულია ბიბლიოთეკების ყველა მომხმარებლისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თავისუფლების დაცვისა და ინტერნეტთან თავისუფალი, თანასწორი და შეუზღუდავი დაშვების უზრუნველყოფისაკენ.

პ რ ე ა მ ბ უ ლ ა

შესავალი

ივლა-ს მანიფესტს ინტერნეტის შესახებ საფუძვლად უდევს ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის მე-19 მუხლი და მასში განსაკუთრებითაა ხაზგასმული, რომ ბიბლიოთეკის მომხმარებლებს ერთნაირი უფლება აქვთ როგორც ბეჭდური მასალის გამოყენებაზე, ასევე თავისუფალ გამოხატვასა და ინტერნეტში ინფორმაციის თავისუფალ ხელმისაწვდომობაზე. ეს დოკუმენტი შეესაბამება ინტერნეტის საუკუნის მოთხოვნებს და საბიბლიოთეკო პროფესიათა განახლების ფუნდამენტურ იდეალებს. თუმცა, იმის გასარკვევად, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი მანიფესტი და მისი თანმდევი სახელმძღვანელო მითითებები საბიბლიოთეკო საქმისა და ინფორმაციის დარგის სპეციალისტებისათვის, აუცილებელია მის საფუძველში ჩადებული პრინციპების კანონიერების განხილვა და იმის ჩვენება, რომ ეს ორი დოკუმენტი ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გაფართოებასა და ბიბლიოთეკების ყოველდღიურ ცხოვრებაში მისი როლის ზრდასთან ერთად, მოწოდებულია არსებითი დახმარება გაუწიოს მთელი მსოფლიოს ბიბლიოთეკარებს.

ბიბლიოთეკები და ადამიანის უფლებები

XVIII საუკუნის ბოლოდან ადამიანის განუყრელი და საყოველთაო უფლებების იდეის პოპულარობა მთელ მსოფლიოში იზრდებოდა. ადამიანის უფლებები წარმოადგენს “ყველას მიერ აღიარებულ კანონიერ უფლებას, რომლის წართმევაც შეიძლება გახდეს იმის მიზეზი, რომ ადამიანის ცხოვრებისა და არსებობის საშუალებებსა და ადამიანთა თანასაზოგადოებებს ზიანი მიადგეთ” (McIver, 2000). ადამიანის უფლებები გამომდინარეობს ადამიანური მოთხოვნილებებიდან და ითვალისწინებს თითოეული ადამიანის ღირსეული და სრულფასოვანი არსებობისათვის სტანდარტების საყოველთაოდ ხელმისაწვდომ ნაკრებს.

ადამიანის უფლებების კონცეფციის საფუძველში დევს თანასწორობა, ადამიანური ღირსეუბანი და ურთიერთპასუხისმგებლობა. ადამიანის უფლებების საკითხებზე საყოველთაო თანხმობის იმედი გაჩნდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და საერთაშორისო პოლიტიკური დღის წესრიგში შევიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის შემდეგ, 1945 წელს. ამას მოჰყვა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენები, როგორებიცაა: ადამიანის უფლებების გაეროს კომისიის შექმნა (1946), აგრეთვე ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის (1948), ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის (1950), გაეროს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე საერთაშორისო შეთანხმებების (1966) და გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებზე საერთაშორისო შეთანხმებების მიღება (1966).

ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია (გაერო, 1948) იძლევა ადამიანთა უფლებების დადგენის, დაცვისა და უზრუნველყოფის საერთო ჩარჩოებს. ინფორმაციაზე თავისუფალი ხელმისაწვდომობის და გამოხატვის თავისუფლების კონცეფცია მკაფიოდაა გამოხატული ადამიანის უფლებების მე-19 მუხლში:

“ყოველ ადამიანის აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოხატვისა: ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას დაუბრკოლებლად იქონიოს თავისი მრწამსი და ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს

ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი საშუალებებით და სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად”.

გამოხატვის თავისუფლება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თავისუფლება

გამოხატვის თავისუფლება არის აზრის გამოხატვის თავისუფლება რეპრესიების შიშის არსებობის და იმის მიუხედავად, რომ ეს აზრები შეიძლება არაპოპულარული იყოს, აგრეთვე იმ მოქალაქეების დაცვის უფლება, რომელთაც სურთ ამგვარი აზრების გამოხატვა. მე-19 მუხლი საშუალებას იძლევა საკუთარი მრწამსის გამოხატვას “ნებისმიერი საშუალებით”, რაც იმას ნიშნავს, რომ აზრები და შეხედულებები შეიძლება გავრცელდეს ზეპირად და წერილობით, ხელოვნების სხვადასხვა სახეობებით ან ისეთი თანამედროვე საშუალებებით, როგორებიცაა ტელევიზია, რადიო ან ინტერნეტი. გამოხატვის თავისუფლება მოიცავს სახელმწიფო ხელისუფლების სისტემის წინააღმდეგ გამოსვლის უფლებას და, ამასთან, ისე, რომ არ ითვლებოდეს დამნაშავედ ან მოღალატედ, აგრეთვე, მიუხედავად გაბატონებულ იდეებსა და შეხედულებებზე ფართოდ გავრცელებული უტყუარობის რწმენისა და მოსალოდნელი შედეგებისა, მათი ეჭვქვეშ დაყენების უფლებას.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თავისუფლება, ერთი მხრივ, არის მოქალაქეთა უფლება არა მხოლოდ გამოხატონ ნებისმიერი შეხედულება, არამედ ხელი მიუწვდებოდეთ სხვადასხვა თვალსაზრისის ყველაზე ფართო სპექტრზე. ბიბლიოთეკებში ეს ნიშნავს იმ იდეების ხელმისაწვდომობას, რომელთაც ბიბლიოთეკარები შეიძლება არ ეთანხმებოდნენ ან შეიძლება თავისთვის შეურაცხმყოფლად თვლიდნენ.

ბიბლიოთეკები თავისი ბუნებით კავშირში არიან გამოხატვის თავისუფლებასა და ინფორმაციაზე თავისუფალ ხელმისაწვდომობასთან, რადგანაც ფლობენ ინფორმაციის წყაროებს და მათ მოსაპოვებლად მრავალფეროვან მომსახურებას გვთავაზობენ. შესაბამისად, ბიბლიოთეკებს აქვთ ამ თავისუფლებების პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობა. ისინი ისწრაფვიან შესთავაზონ ინფორმაციით

თავისუფალი სარგებლობა მათ ხელთ არსებული ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის ინტერნეტითაც.

კულტურული განსხვავებანი ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე

ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც წარმოიშობა ადამიანის საყოველთაო უფლებების განხილვისას, არის წინააღმდეგობა კულტურულ და მსოფლიოს ხალხთა განვითარების დონის განსხვავებებს შორის და ის ერთგვაროვანი მიდგომა, რომლის დროსაც, ყველა სხვა თვალსაზრისების საზიანოდ, უპირატესობა ენიჭება დასავლეთის აღიარებულ ლიბერალურ-დემოკრატიულ მისწრაფებებს. აუცილებელია გვახსოვდეს, რომ მთელ მსოფლიოში განვითარების უთანასწორო პირობებში, და, შესაბამისად, საერთაშორისო საბიბლიოთეკო საზოგადოებაშიც, იარსებებს განსხვავებული მიდგომები ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე. აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი მომენტიც, რომელიც შეეხება იმ განსხვავებებს, რომლებიც მაინც იარსებებენ, თუ ვივარაუდებთ, რომ ყველა ქვეყანა განვითარების ერთ დონეზე დადგება. ეს განსხვავებები ეხება ისეთ ცნებებს, როგორებიცაა პირადი თავისუფლება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, ან ისეთს, რაც ითვლება დამამცირებლად ან საზიანოდ. ისინი განპირობებული არიან განსხვავებული კულტურით და არსებობენ როგორც ქვეყნებს შიგნით, ასევე მათ შორისაც, ამასთან, ეს განვითარებულ ქვეყნებსაც ეხებათ.

ამგვარი მდგომარეობა განპირობებულია კულტურული განსხვავებებით ღირებულებებთან მიმართებაში. თვით ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაც კი ბადებს კითხვებს იმასთან დაკავშირებით, რომ ის ემყარება დასავლურ, იუდეურ-ქრისტიანულ ღირებულებებს, რომელთაც შეიძლება დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდეთ სხვა აღმსარებლობისა და იდეოლოგიის მქონე საზოგადოებებისთვის. ზემოთქმულიდან გამომდინარე, როგორ შეიძლება, რომ ერთი მანიფესტი და მისი თანმდევი სახელმძღვანელო მითითებები ერთნაირად მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენდეს ბიბლიოთეკების ყველა მომხმარებლისთვის მთელ მსოფლიოში? რატომ თვლიან იფლა და იუნესკო, რომ ამგვარი დოკუმენტის შექმნა ნამდვილად მნიშვნელოვანი და აუცილებელი იყო?

მარტივ ახსნად შეიძლება გამოდგეს ის გარემოება, რომ ბიბლიოთეკებში ინტერნეტის დანერგვამ შეცვალა მომხმარებლისთვის საინფორმაციო წყაროების შეთავაზების საშუალებები. ინტერნეტი აგრძელებს წიგნის ბეჭდვით გამოწვეულ რევოლუციას და მომხმარებელს ინფორმაციას აწვდის ყველგან, მისი ადგილსამყოფელის მიუხედავად. ყველაფერი, რაც ამისათვის არის საჭირო არის შესაბამისი ტექნოლოგია. ინტერნეტი ინფორმაციის გავრცელების სიჩქარისა და დაბალი ღირებულების წყალობით კომუნიკაციის სფეროშიც აგრძელებს წიგნის ბეჭდვით გამოწვეულ რევოლუციას. თუმცა მნიშვნელოვან განსხვავებას წარმოადგენს ის, რომ ინტერნეტი თავის მულტიმედიურ ფორმატში შლის საზღვრებს ინფორმაციის შეთავაზებასა და მის მოხმარებას შორის. ამას ცვლილება შეაქვს ბიბლიოთეკებში ინფორმაციის შეთავაზების პროცესში, იმდენად, რამდენადაც ბიბლიოთეკის მომხმარებელს ინფორმაციის მიღებაზე გაცილებით მეტი კონტროლის საშუალებას აძლევს.

ჯერ კიდევ ინტერნეტამდე იფლა-სა და იუნესკო-ს ისეთმა პროგრამებმა, როგორებიცაა “პუბლიკაციებზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის პროგრამა” (UAP), წარმოაჩინეს ბიბლიოთეკების ერთგული დამოკიდებულება ინფორმაციაზე ყველაზე ფართო ხელმისაწვდომობის შესახებ. ბიბლიოთეკების ქსელები მომხმარებელთა ბეჭდური პუბლიკაციებით უზრუნველყოფის მიზნით მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ადგილობრივ ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე. ინტერნეტის ტექნოლოგიებმა შეცვალეს ეს სიტუაცია და ბიბლიოთეკებს ინფორმაციის უფრო ფართო, მომხმარებლისათვის წინანდელზე უფრო სწრაფი და, თეორიულად, უფრო იაფი გამოყენების საშუალება მისცეს. ინტერნეტზე საყოველთაო დაშვების დანერგვით მომხმარებელს საშუალება ეძლევა ინფორმაცია შეარჩიოს ბიბლიოთეკარის, როგორც შუამავლის გვერდის ავლით, ამით ის საკუთარ უნარებზე დამოკიდებული ხდება ინფორმაციის მოძიებისას, რომელიც შესაძლოა, იყოს, ან არც იყოს მისთვის სასარგებლო. ინტერნეტში ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ამგვარად, განსხვავდება “ტრადიციული” საბიბლიოთეკო კოლექტორისაგან, რომლებშიც ბიბლიოთეკარები არჩევდნენ ასორტიმენტს თავიანთი ბიბლიოთეკებისთვის. თუ შერჩევას, ტრადიციული გაგებით, მთელ ინტერნეტს მივუსადაგებთ, ბიბლიოთეკებს შეეძლოთ ხელმისაწვდომი გაეხადათ მხოლოდ ადვილად მოსაძიებელი, შეფასებული და მათ სისტემებში დამატებული

გარკვეული საიტები. ინტერნეტში არ არსებობს შერჩევის მსგავსი სისტემები. ინფორმაცია თავსდება ვებ-ზე, შემდეგ კი მომხმარებელი აკეთებს არჩევანს.

ბიბლიოთეკარებს შეუძლიათ სანიშნეების შეთავაზება ან საიტებისთვის რეკომენდაციის გაწევა, თუმცა, როდესაც მომხმარებლები ინტერნეტთან მიერთებულ ბიბლიოთეკის კომპიუტერებთან სხედან, თავად იღებენ გადაწყვეტილებას. თეორიულად, მომხმარებლებს აღარ ხვდებათ შეზღუდვები, რომლებსაც იწვევს ბიუჯეტით ან ექსპერტების შეფასებებით მასალების შერჩევა, საბითუმო შესყიდვები, უპირატესობა შერჩევაზე. ისინი თავისუფალნი არიან ინტერნეტით შეთავაზებული უამრავი საშუალებიდან შეარჩიონ ინფორმაციის მისაღები საკუთარი გზა და დამოკიდებულნი არიან მხოლოდ საკუთარ უნარებზე. ამგვარად, ინფორმაციის ძიების პროცესი, როგორც ბიბლიოთეკარების, ასევე მათი მომხმარებლებისთვისაც გახდა უფრო ადვილი და უფრო რთულიც, ვიდრე ოდესმე. ის გაიოლდა საძიებო მექანიზმების სიჩქარისა და გამოყენების სიმარტივით, რომლებიც საკვანძო სიტყვაზე პასუხს რამოდენიმე წამის განმავლობაში იძლევიან. მეორე მხრივ, ის გახდა უფრო რთული ინტერნეტის გასაოცარი მოცულობის წყალობით და იმ სტრუქტურის გარეშე, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ონლაინ ინფორმაციის სიმრავლიდან გაკეთებულ არჩევანს.

ინტერნეტის განვითარება: შესაძლებლობები და პრობლემები

ინტერნეტის გამოყენება და მისი გამოყენების საშუალებათა რიცხვი სწრაფად იზრდება. ასევე განუწყვეტლად იზრდება მთელ მსოფლიოში ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვიც. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ჩინეთში, მათი რიცხვი უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა. ამ ზრდას ხელს უწყობს ისეთი კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარება, როგორებიცაა ფართოზოლიანი (broadband link) და უკაბელო კავშირი (Wi-Fi), აგრეთვე მოწყობილობის, პროგრამული უზრუნველყოფისა და მიერთების ღირებულების შემცირება. ამ სიტუაციას გვერდითი ეფექტიც აქვს ინოვაციების სწრაფად მზარდი ტემპების სახით, რაც მომხმარებელს ინტერნეტის გამოყენების ახალ ერთობლივ მიმართულებას სთავაზობს. დიდი პოპულარობით სარგებლობენ ბლოგები. ვებ-გვერდების ნებისმიერ თემაზე შექმნა და განახლება მარტივი და ადვილად ხელმისაწვდომი

მითითებების გამოყენებით მთელ მსოფლიოშია გავრცელებული, ყველაზე რეპრესიულ ქვეყნებშიც კი. Wiki-ვებ-საიტების მზარდი გამოყენება მომხმარებელს ნებისმიერი შინაარსის ადვილად დამატების საშუალებას აძლევს, ისინი განსაკუთრებით მოსახერხებელია ერთობლივი წერისთვის, მათ გაზარდეს ინფორმაციის ერთობლივად შექმნის შესაძლებლობა და ხელი შეუწყეს დიდი წარმატების მქონე ონლაინ-ენციკლოპედიების შექმნას, რომელთა რაოდენობა სულ უფრო სწრაფად იზრდება. ჩნდება ონლაინ-ბიზნესის ახალი ფორმები, ელექტრონული მმართველობის ახალი ინტერაქტიული სამსახურები ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის კომუნიკაციის განუყოფელი ნაწილი ხდება, რაც თავის მხრივ, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში მოქალაქეების მონაწილეობის მეტ შესაძლებლობებს იძლევა. ჩნდება ასევე დადგენილი ნორმების ალტერნატივები, ისეთები, როგორებიცაა საავტორო უფლებების ახალი სტრუქტურები – არაკომერციული ორგანიზაციები, რომლებიც კანონიერ საფუძველზე დაკავებულნი არიან შემოქმედებითი ხასიათის სამუშაოს დიაპაზონის გაფართოებით, რაც ხელმისაწვდომია სხვებისთვისაც სრულყოფისა და ერთობლივი მოხმარებისთვის. სამეცნიერო ინფორმაციის გაცვლის სხვადასხვა ფორმები, ისეთები, როგორიცაა ღია ხელმისაწვდომობა, წარმოადგენს ამ მიმართულების დამატებას. საზოგადოებრივი რესურსებისადმი გაზრდილი ყურადღების საფუძველს წარმოადგენს პროგრამული უზრუნველყოფის ღია წყაროები, რაც ცალკეულ მომხმარებელს აძლევს რეალური პოტენციალის გამოყენების საშუალებას და ანიჭებს ფართო შესაძლებლობებს.

მიუხედავად ახალი მიღწევებისა და შესაძლებლობების შეთავაზების უპირობო ღირსებებისა, ბიბლიოთეკარებისა და მომხმარებლების წინაშე ახალი პრობლემებიც იკვეთება. აუცილებელი ხდება ინფორმაციის მოძიების ახალი უნარების ათვისება და მომხმარებლებისათვის ონლაინ ტექნოლოგიების უკეთ გამოყენების შესაძლებლობების შეთავაზება. ამას გარდა, რადგან ბიბლიოთეკარებს არ შეუძლიათ იცოდნენ ყველაფრის შესახებ, რაც განთავსებულია ინტერნეტში (წარსული დროისაგან განსხვავებით, როდესაც საბიბლიოთეკო კატალოგი თეორიულად სრულ ინფორმაციას მოიცავდა ფონდებზე), ჩნდება მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის სახეებთან დაკავშირებული პრობლემები. ინტერნეტი, რომელსაც ანალოგიის მიხედვით ველურ დასავლეთსაც

უწოდებენ, შეიძლება აღქმული იყოს დანაღმულ ველად, სადაც ნაღმებად გვევლინებიან (დეზ)ინფორმაცია, პორნოგრაფია, მისტიფიკაცია, თაღლითობა და სხვადასხვა სახის ქიმერები. ამგვარმა სიტუაციამ გამოიწვია პროგრამული ფილტრების უფრო ფართოდ გამოყენება როგორც ეროვნული ტელეკომუნიკაციების ინფრასტრუქტურის დონეზე, ასევე ბიბლიოთეკებშიც. პროგრამული ფილტრების გამოყენება თანდათან მისაღები ხდება საბიბლიოთეკო ასოციაციებისთვის და სულ უფრო ხშირად გვხვდება ბიბლიოთეკებში².

მიუხედავად იმისა, რომ ფილტრაცია ერთ-ერთი პრობლემაა, რომელსაც დიდი ალბათობით შეუძლია გამოიწვიოს აზრთა სხვადასხვაობა ბიბლიოთეკებში, არსებობს ინტერნეტის სხვა არამიმზიდველი მხარეებიც, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია. ინტერნეტის მოხმარების კონტექსტში უფრო ადვილია მომხმარებლის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევა, ხოლო ტერორიზმისაგან თავდაცვის აუცილებლობით გამოწვეული საკანონმდებლო ცვლილებები ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, რომელიც მიღებულ იქნა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმისთანავე, უპირისპირდება ბიბლიოთეკების კონფიდენციალურობის ტრადიციულ პოლიტიკას. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას საფრთხეს არა მარტო სახელმწიფო სტრუქტურები უქმნიან; ბიზნესიც ასევე მზადაა აქტიურად თვალყური ადევნოს და ინტერპრეტირება გაუკეთოს მომხმარებლის ინტერნეტში ნავიგაციის თავისებურებებს. არ შეიძლება ქსელში ბიზნესის ქცევის იგნორირება იმის გამო, რომ ონლაინ რესურსები გადაიქცევა საქონლად, რომლის ნაწილიც უკვე განაღმებული იყო გადამხდელის მიერ, რაც ქმნის რეალურ ფინანსურ წინააღმდეგობას ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე. უფრო მეტიც, ინტერნეტის ნეიტრალიტეტის სრული მოცულობით შენახვის შესაძლებლობაზე ბოლო დროს გაჩენილი ეჭვები, რომლებსაც განაპირობებენ მსხვილი სატელეკომუნიკაციო კომპანიების ბიზნეს-გეგმები, შეშფოთებას იწვევენ მომავალზე, რომელშიც შეიძლება ეარსება ორდონიან ინტერნეტს, ანუ კომერციულ ტრაფიკს შეიძლება უპირატესობა ჰქონოდა ყველა სხვა კომუნიკაციასთან შედარებით.

² წყარო: IFLA/FAIFE World Report 2005.

ინტერნეტი, ბიბლიოთეკის მომხმარებელი და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდილი თავისუფლება

ტექნოლოგიებსა და ინფორმაციაზე მზარდ ხელმისაწვდომობას შორის კავშირს განაპირობებს ის ფაქტი, რომ მიუხედავად მისი განვითარების თანმდევი წინააღმდეგობებისა, მან ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი დაიკავა ბიბლიოთეკების ბოლო წლების პოლიტიკაში. მაგრამ, მიუხედავად ჩვენი ძალისხმევისა, საზოგადოების მრავალი წევრი ჯერ კიდევ რჩება საინფორმაციო ციკლის ჩარჩოებს მიღმა. წინააღმდეგობები, რომლებიც წარმოიშობა ეთნიკური წარმომავლობის, სქესის, ფიზიკური და ფსიქიკური გადახრების, განათლების, დასაქმების სტატუსის ან ეკონომიური მდგომარეობის ნიადაგზე, განაპირობებენ მრავალი მოქალაქის საზოგადოებიდან ჩამოცილებას. ბიბლიოთეკებს საზოგადოებაში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ სოციალური მიზეზების გამო საზოგადოებას ჩამოცილებული წევრებისთვის და მისცენ იმ უპირატესობების გამოყენების შესაძლებლობა, რასაც ინტერნეტ-ტექნოლოგიები იძლევა, და უფრო აქტიურად ჩააბან ისინი საზოგადოების ცხოვრებაში.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება, როგორც ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ბარიერების გადალახვის ერთ-ერთი საშუალება ცენტრალურ ადგილს იკავებს ამ პრობლემის გადაჭრის გეგმებში. ინტერნეტზე, როგორც სოციალური განსხვავების შემამცირებელ ინსტრუმენტზე წარმოდგენამ, გავრცელება იმის წყალობით ჰპოვა, რომ ინტერნეტი ხელმისაწვდომს ხდის სამთავრობო ინფორმაციასა და საკომუნიკაციო არხებს, ხოლო ბიბლიოთეკები კი ხელს უწყობენ ამგვარ აღქმას ონლაინ კოლექციებისა და კატალოგების შექმნით მათთვის, ვისაც ფიზიკურად ხელი არ მიუწვდება საბიბლიოთეკო რესურსებზე. იმის გათვალისწინებით, რომ მომდევნო რამდენიმე წლის მანძილზე სამთავრობო სტრუქტურების სულ უფრო მეტი რაოდენობა ეცდება ონლაინ რეჟიმში საზოგადოებრივი მომსახურეობის შეთავაზებას, ინფორმაცია და მისი ხელმისაწვდომობა საზოგადოებისათვის საკუთარი მომავლის მართვის შესაძლებლობის სულ უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდება.

სწორედ ამიტომ, უკანასკნელი 5 წლის მანძილზე მრავალი ქვეყნისათვის პირველი რიგის ამოცანა გახდა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. ამგვარი ხელმისაწვდომობის მასშტაბების არსებითი განსხვავებანი გარდაუვალია სამყაროს სხვადასხვა ნაწილებში, თუმცა მრავალ კერძო და საჯარო ორგანიზაციაში ბიბლიოთეკების ინტერნეტთან მიერთების სურვილი რეალიზებულია. ბიბლიოთეკარები მთელ მსოფლიოში ფეხს უწყობენ მომავალს, რომელშიც ინტერნეტს მთავარი როლი დაეკისრება მათ ყოველდღიურ საქმიანობაში. ამასთან ერთად, ისინი აწყდებიან ზემოთ ნახსენებ პრობლემებს, რომლებიც უკავშირდებიან ხელმისაწვდომობის პირობების სწრაფ ცვლას, აქ მათ დაეხმარებათ რეკომენდაციები, რომლებიც ხსნიან, თუ როგორ უნდა იქნეს შეთავაზებული ინტერნეტით მომსახურება ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და გამოხატვის თავისუფლების პრინციპების გათვალისწინებით. ქვემოთ მოყვანილი სახელმძღვანელო მითითებანი განკუთვნილია ბიბლიოთეკარების, საბიბლიოთეკო საქმის სფეროს მენეჯერებისა და თანამდებობის პირთა დასახმარებლად ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის პოლიტიკის შემუშავებისას, რომელიც მიმართული იქნება კონკრეტული მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე და გაითვალისწინებს ნებისმიერი საზოგადოების თავისებურებებს. სახელმძღვანელო მითითებებში მოცემულია ინტერნეტზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის პრინციპები, განიხილება საზოგადოების მარგინალური წევრების ინტერნეტთან დაშვების შეთავაზებასთან დაკავშირებული პრობლემები, ზოგადად ნაჩვენებია, თუ როგორ შეუძლიათ ბიბლიოთეკებს დაეხმარონ მოქალაქეებს გადავიდნენ ინფორმირებულობიდან ელექტრონული მართვის სისტემების უპირატესობის გამოყენებით ახალი შესაძლებლობების მიღებამდე, განიხილება ტექნოლოგიური არჩევანი, რომლის წინაშეც დგებიან ბიბლიოთეკები მოწყობილობებისა და ქსელების შესყიდვის საკითხების განხილვისას, მოცემულია რეკომენდაციები მომხმარებლის სწავლებაზე და განიხილება ინტერნეტის გამოყენების სფეროში გასატარებელი პოლიტიკის საკითხები, რომელსაც საბოლოოდ შეუძლია მომხმარებლის უფლების ქარტიამდე მიგვიყვანოს. სახელმძღვანელო მითითებები ეხება საკითხთა ყველაზე ფართო წრეს და შეუძლია დაეხმაროს ბიბლიოთეკარებს ინტერნეტის უპირატესობის გამოყენებაში, ამასთან, ისე, რომ მისი ნაკლიც აღნიშნოს. ეს ყველაფერი ერთად აღებული ბიბლიოთეკარებს შესაძლებლობას აძლევს დაგეგმონ და აღასრულონ

ბიბლიოთეკებში ინტერნეტზე დაშვების პოლიტიკა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ბიბლიოთეკის ყველა მომხმარებლის ინტერნეტზე მაღალხარისხიან და თანასწორ ხელმისაწვდომობას.

სახელმძღვანელო მითითებანი

1. საზოგადოებრივი ხელმისაწვდომობის პრინციპები
2. საჯარო ბიბლიოთეკები და საჯარო დაშვების სხვა ადგილები
3. მომხმარებლები
4. შინაარსი
5. ელექტრონული სერვისი (ე-სერვისი), ელექტრონული მართვა (ე-მართვა) და ელექტრონული დემოკრატია (ე-დემოკრატია)
6. ტექნოლოგიური გადაწყვეტა
7. ბარიერები:
 - ა. ფილტრაცია
 - ბ. მომხმარებლის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა
 - გ. ინტელექტუალური საკუთრება
 - დ. ქსელური ნეიტრალურობა
 - ე. გადასახადი დაშვებაზე
 - ვ. მომხმარებლის სწავლება
9. ინტერნეტის განვითარების პოლიტიკა

1. საზოგადოებრივი დაშვების პრინციპები

”ინფორმაციაზე შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია თავისუფლების, თანასწორობის, საყოველთაო ურთიერთგაგებისა და მშვიდობის მისაღწევად. ამიტომ საბიბლიოთეკო ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია აცხადებს, რომ:

- ინტელექტუალური თავისუფლება – ეს არის თითოეული ადამიანის უფლება, ჰქონდეს საკუთარი მრწამსი და შეეძლოს მისი თავისუფლად გამოხატვა, უფლება ინფორმაციის მოძიებასა და მიღებაზე; ინტელექტუალური თავისუფლება

დემოკრატიის საფუძველს წარმოადგენს; ინტელექტუალური თავისუფლება ჩადებულია საბიბლიოთეკო საქმიანობის საფუძველში.

- ინფორმაციაზე თავისუფალი დაშვების უზრუნველყოფა მისი გადაცემის საშუალებების ან სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად წარმოადგენს მთავარ მოვალეობას საბიბლიოთეკო და საინფორმაციო პროფესიებისათვის.

- ბიბლიოთეკებსა და საინფორმაციო დაწესებულებებში ინტერნეტზე შეუზღუდავი დაშვება ეხმარება საზოგადოებებსა და ინდივიდუალურ პირებს მიაღწიონ თავისუფლებას, წარმატებას, აყვავებას და ხელს უწყობს მათ განვითარებას.

• ინტერნეტში ინფორმაციაზე დაშვების შეთავაზებას ბიბლიოთეკები უნდა ასრულებდნენ ადამიანის საყოველთაო უფლებების დეკლარაციის მე-19 მუხლში მოცემული პრინციპების შესაბამისად, რომელშიც დამტკიცებულია, რომ თითოეულ ადამიანს აქვს რწმენისა და მისი თავისუფლად გამოხატვის უფლება. ეს უფლება მოიცავს საკუთარი მრწამსისა და უფლებების დაუბრკოლებელ დაცვას, ინფორმაციისა და იდეების ნებისმიერი საშუალებებითა და სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად მიებას, მოპოვებას და გავრცელებას.

• ადამიანი პირველ რიგში თავად არის პასუხისმგებელი მისთვის საჭირო ინფორმაციის მოძიებაზე, ამიტომ მას უნდა ჰქონდეს მინიჭებული მაქსიმალურად ფართო შესაძლებლობები, რათა დამოუკიდებლად შეძლოს გადაწყვიტოს - რა მოიძიოს ინტერნეტით და რა არა.

• ბიბლიოთეკები ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გარანტიას უნდა აძლევდნენ თითოეულ ადამიანს, მიუხედავად ასაკისა, რასისა, ეროვნების, რელიგიის, კულტურის, პოლიტიკური კუთვნილების, ფიზიკური ან ფსიქიკური უუნარობისა, სქესობრივი ან სექსუალური ორიენტაციისა.

• ბიბლიოთეკარები პროფესიულად პასუხისმგებელნი არიან მომხმარებლების ინტერნეტზე სამართლიან და თანასწორ დაშვებაზე; მომხმარებლის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პატივისცემაზე; მომხმარებლისათვის შესაძლებლობის მინიჭებაზე ოპტიმალურად გამოიყენონ ინტერნეტით ხელმისაწვდომი ინფორმაცია, დახმარება გაუწიონ მათ და, თუ საჭიროა, შეასწავლონ მათ აუცილებელი წესები.

2. საჯარო ბიბლიოთეკები და საზოგადოებრივი ხელმისაწვდომობის სხვა ადგილები

”ბიბლიოთეკები და საინფორმაციო სამსახურები ის დაწესებულებებია, რომლებიც მუდმივად რეაგირებენ ცვლილებებზე და ადამიანებს აერთიანებენ იმ მსოფლიო საინფორმაციო რესურსებით, იდეებითა და შემოქმედების ნაყოფით, რომელსაც ისინი ეძებენ. ბიბლიოთეკები და საინფორმაციო სამსახურები, ყველა საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით, ხელმისაწვდომს ხდიან კაცობრიობის შემოქმედებისა და კულტურული მრავალფეროვნების ყველა სიმდიდრეს.

ბიბლიოთეკები და საინფორმაციო სამსახურები უზრუნველყოფენ ინტერნეტის ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვან გზებს. ზოგ მომხმარებელს ისინი სთავაზობენ ხელსაყრელ პირობებს, სახელმძღვანელო მითითებებსა და დახმარებას, სხვებისთვის ისინი წარმოადგენენ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ერთადერთ ადგილს, ისინი გვთავაზობენ მექანიზმს, რომელსაც შეუძლია გადალახოს რესურსების, ტექნოლოგიებისა და სწავლების სხვაობით შექმნილი დაბრკოლებანი”.

- სხვადასხვა ტიპების ბიბლიოთეკები და სხვა საინფორმაციო სტრუქტურები ემსახურებიან მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფებს და ამ დაწესებულებათა მოვალეობას წარმოადგენს თავისი საქმისა და ყველა მომხმარებლის სამსახურისაკენ სწრაფვა, რომელსაც ახორციელებენ:

- არსებული რესურსების შეთავაზებით ონლაინ არხების საშუალებით (მაგალითად, გაციფრების პროგრამების საშუალებით);

- ინტერნეტით ახალი რესურსების შეთავაზების საშუალებათა სრულყოფით;

- ინტერნეტთან დაშვების პუნქტების იმ ადგილებში შეთავაზებით, რომლებიც ღია იქნება ყველასათვის, მიუხედავად სქესისა, რელიგიისა, სოციალური კლასისა ან კასტისა”.

3. მომხმარებლები

”ბიბლიოთეკები და საინფორმაციო სამსახურები ასევე ვალდებულნი არიან მომსახურება გაუწიონ საზოგადოების ყველა წევრს მიუხედავად მათი ასაკისა,

რასისა, ეროვნებისა, რელიგიისა, კულტურისა, პოლიტიკური შეხედულებებისა, ფიზიკური ან სხვა ნაკლისა, სქესისა და სექსუალური ორიენტაციისა ან სხვა რაიმე მიზეზისა”

- ბიბლიოთეკები, რომლებიც სთავაზობენ ინტერნეტთან საზოგადოებრივ დაშვებას, განსაკუთრებულად პასუხისმგებელნი არიან, რომ ინტერნეტზე დაშვება უზრუნველყონ იმ ჯგუფებისთვის, რომელთაც სხვა შემთხვევაში არ ექნებოდათ ამისი საშუალება. იმ ჯგუფების გარდა, რომელთა შესახებაც ნათქვამი იყო იფლა-ს მანიფესტში ინტერნეტის შესახებ, ბიბლიოთეკარები უნდა ზრუნავდნენ სხვა მომხმარებელთა ჩართვაზეც, მაგალითად, ისეთების, რომლებიც არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფებიან იმის გამო, რომ განეკუთვნებიან სოციალურად დაუცველ, უსახლკარო ან უმიწაწყო კლასებსა და კასტებს.

- იმ ადგილებში, სადაც ახალგაზრდებს აქვთ საბიბლიოთეკო მოწყობილობებით სარგებლობის უფლება, ბიბლიოთეკებს უნდა ჰქონდეთ მკაფიო პოლიტიკა ბავშვების ან არასრულწლოვანების მიერ ინტერნეტის გამოყენების სფეროში და ეს პოლიტიკა უნდა განემარტოთ მშობლებს, როდესაც ბავშვები პირველად იწყებენ სარგებლობას ამგვარი მოწყობილობებით.

4. შინაარსი (კონტენტი)

”ინტერნეტის მსოფლიო ქსელი უზრუნველყოფს ინფორმაციაზე თანაბარ ხელმისაწვდომობას პირადი სრულყოფის, განათლების, კულტურული განვითარების, ეკონომიკური მოღვაწეობის და დემოკრატიზაციის პროცესში ინფორმირებული მონაწილეობისთვის ყველაზე პატარა და დაშორებულ სოფლებსა და დიდ ქალაქებში მცხოვრები ინდივიდუალური პირებისა და საზოგადოებებისათვის მთელ მსოფლიოში“.

- ბიბლიოთეკარებმა უნდა გამოავლინონ ადგილობრივ პირობებში შექმნილი და ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, ხელი შეუწყონ მის წარმოებასა და გავრცელებას. მათ, თუ არის ამისი შესაძლებლობა, ადგილობრივი მნიშვნელობის ინფორმაციის შექმნისას ერთობლივად უნდა იმუშაონ ინფორმაციის (content) ადგილობრივ მწარმოებლებთან.

- ბიბლიოთეკარები ხელს უნდა უწყობდნენ კულტურათა შორის დიალოგებს, პატივისცემა გამოიჩინონ ადგილობრივი ერებისა და მათი ენის მიმართ, კერძოდ, კი უზრუნველყონ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ადგილობრივ ენებზე.
- ბიბლიოთეკარებმა პატივი უნდა სცენ ზეპირსიტყვიერებას, როგორც ხალხის მიერ შექმნილ საზოგადოებრივ მონაპოვარს, აგრეთვე როგორც ადგილობრივ ინფორმაციას, რონელიც ყველასთვის იქნება ხელმისაწვდომი.
- არსებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის მიზნითა და საზოგადოების შემოქმედებითი მიდგომების პრინციპების გათვალისწინებით, ბიბლიოთეკარების მიერ წახალისებული უნდა იქნეს ადგილობრივი ინფორმაციის თავისუფალი ხელმისაწვდომობა.
- ბიბლიოთეკარები უნდა ისწრაფვოდნენ საკუთარი საბიბლიოთეკო რესურსების უნიკალური ან იშვიათი შინაარსის მასალების გაციფრების პროგრამების განვითარებისკენ.
- ბიბლიოთეკარები უნდა ისწრაფვოდნენ საბიბლიოთეკო კატალოგების ონლაინ რეჟიმში ხელმისაწვდომობისკენ და ხელს უწყობდნენ ადგილობრივი ინფორმაციის (content) ხელმისაწვდომობას ბიბლიოთეკების მიერ მართული ან არსებული პორტალებისა და ვებ გვერდების საშუალებით.

5. ელექტრონული სერვისი (ე-სერვისი), ელექტრონული მართვა (ე-მართვა) და ელექტრონული დემოკრატია (ე-დემოკრატია)

ბიბლიოთეკები საგანმანათლებლო, თავისუფალი დროის გატარებისა და კვლევების სფეროში საყოველთაოდ აღიარებული როლის გარდა, ისინი მნიშვნელოვან, მაგრამ არა ყოველთვის სრულად გაცნობიერებულ როლს თამაშობენ უბრალოდ ინფორმირებული მოქალაქეების დამოუკიდებლად მოაზროვნებად გადაქცევაში. ამ როლს საფუძვლად უდევს საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით ინტერნეტსა და სხვა ფორმის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა.

- ბიბლიოთეკებმა, როგორც სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ურთიერთობების მაკავშირებელმა რგოლმა, თავისი წვლილი უნდა შეიტანონ დემოკრატიის განვითარებაში, კერძოდ, სტიმულს უნდა აძლევდნენ საზოგადოების მიერ ე-მართვას. უფრო მეტიც, ბიბლიოთეკები უნდა ავსებდნენ და აძლიერებდნენ ე-

მართვას იმ მასალების შეთავაზებით, რომლებიც ხელს შეუწყობს ე-დემოკრატიის განვითარებას, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ლობისტური ჯგუფებისა და პოლიტიკური პარტიების მიერ აზრთა სრული სპექტრით წარმოდგენილი მასალების ჩათვლით.

- ბიბლიოთეკარები თავიანთი პროფესიის განსაკუთრებული უნარების გამოყენებით გადამწყვეტ როლს ასრულებენ სამთავრობო ინფორმაციის შეკრებაში, ორგანიზებასა და ხელმოსაწვდომობაში, ნაბეჭდი სახით იქნება ის თუ ელექტრონული დოკუმენტების ფორმით.

- ბიბლიოთეკები მათ განკარგულებაში არსებული ონლაინ კავშირების შეთავაზებით სტიმულს უნდა აძლევდნენ მოქალაქეებს ხელისუფლებასთან ურთიერთობისთვის.

- ბიბლიოთეკები მზად უნდა იყვნენ დამატებითი როლის მისაღებად ე-მართვის მომსახურების სრული სპექტრის შეთავაზებისთვის იმ შემთხვევაში, თუ ამისათვის სხვა შესაძლებლობები არ არსებობს, ან არაეფექტურია, ან არასრულადაა წარმოდგენილი სხვა ორგანიზაციების ინსტიტუტების მიერ.

- ბიბლიოთეკები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ინფორმაციის თავისუფლების ან ინფორმაციაზე უფლების უზრუნველყოფის სისტემაში იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს აუცილებელი სამართლებრივი ბაზა, კერძოდ, ინფორმაციის თავისუფლების მოთხოვნაზე მომხმარებლისათვის მხარდაჭერის აღმოჩენაში.

6. ტექნოლოგიური არჩევანი

- ინტერნეტთან დაშვებისთვის ბიბლიოთეკები უნდა ცდილობდნენ, რომ მომხმარებელს შესთავაზონ ყველაზე სრულყოფილი ტექნოლოგიები.

- ბიბლიოთეკები ონლაინ ინფორმაციაზე დაშვებისთვის გამოყენებული ინტერფეისის შერჩევის ან დამუშავებისთვის უნდა ხელმძღვანელობდნენ იმ პრინციპით, რომ ის მომხმარებლისთვის ადვილად მოსახმარებელი იყოს.

- ბიბლიოთეკები უნდა ისწრაფოდნენ მომხმარებლისთვის სწრაფი ინტერნეტის შეთავაზებისკენ. იქ, სადაც ინტერნეტით სარგებლობას ხელს უშლის ცუდი სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, აუცილებელია ალტერნატიული

კვების წყაროების, აპარატურისა და პროგრამული უზრუნველყოფის ძიებისადმი შემოქმედებითი მიდგომა.

- ბიბლიოთეკებმა უნდა უზრუნველყონ ხარისხიანი მომსახურება კვალიფიციური პერსონალის საშუალებით, რომლებმაც კარგად იციან ბიბლიოთეკის ტექნოლოგიების შესაძლებლობები და მისი პოტენციური მომხმარებელთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

- ბიბლიოთეკის შიგნით აუცილებელია მკაფიოდ განაწილდეს პასუხისმგებლობა საბაზო საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით მომსახურების შეთავაზებაზე, ტექნოლოგიის საკითხებში თანამშრომელთა და მომხმარებელთა კონსულტაციებზე, აღჭურვილობის შესყიდვის და ტექნოლოგიების განახლების და სრულყოფის დაგეგმვის საკითხებზე. ასევე აუცილებელია დადგინდეს ამ საკითხთა გადასაჭრელად შეთანხმებული თანმიმდევრობა და პროცედურები.

- ყველას, ვისაც კი შეეხება აქვს ინტერნეტთან საზოგადოებრივი დაშვების მოწყობილობების შეთავაზებაზე, უნდა აღიარებდეს ტექნოლოგიების განახლებით სიცოცხლისუნარიანი სისტემების დაგეგმვისა და ამ მიზნით დაფინანსების მოპოვების აუცილებლობას.

7. ბარიერები

”ინტერნეტზე და ყველა მის რესურსზე ხელმისაწვდომობა უნდა შეესაბამებოდეს გაეროს ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციას, და, განსაკუთრებით მე-19 მუხლს:

“ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა: ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას დაუბრკოლებლად იქონიოს თავისი მრწამსი და ეძიოს მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებით და სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად”.

ინტერნეტის გლობალური ურთიერთდაკავშირება ყველას აძლევს ამ უფლებით სარგებლობის საშუალებას. ამის შედეგად, ხელმისაწვდომობა არ უნდა შემოისაზღვროს იდეოლოგიური, პოლიტიკური ან რელიგიური ცენზურის რაიმე ფორმით ან ეკონომიკური ბარიერებით”.

დაბრკოლებები ინფორმაციული ნაკადის გზაზე უნდა აღმოიფხვრას, განსაკუთრებით ისეთები, რომლებიც ხელს უწყობენ უთანასწორობის, სიღარიბისა და სასოწარკვეთილების გავრცელებას”.

ა. ფილტრაცია

- აუცილებელია ვაღიაროთ, რომ ინტერნეტზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის ადგილებში გამფილტრავი პროგრამების გამოყენება ონლაინ ინფორმაციასთან თავისუფალი დაშვების აშკარა დარღვევაა.

- იმის გამო, რომ ზეზუსტი გამფილტრავი პროგრამების შექმნა თითქმის შეუძლებელია ენობრივი თავისებურებებისათვის დამახასიათებელი უზუსტობების გამო, ხშირად ხდება იმ ინფორმაციის (კონტენტის) დაბლოკვა, რომელთან დაშვების უფლებაც ეჭვს არ იწვევს.

- იმის გათვალისწინებით, რომ ბევრ ბიბლიოთეკაში ფილტრებს იყენებენ ქვეყნის კანონმდებლობიდან გამომდინარე ან ზემდგომი ორგანიზაციების განკარგულებით, ბიბლიოთეკარები უნდა ცდილობდნენ ბლოკირების შესაძლებლობის მინიმუმის გამოყენებას, რათა საკუთარი გამფილტრავი პროგრამების დაყენებით უფრო მეტად არ შეამცირონ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა.

- თუ კანონი ბიბლიოთეკებს ავალდებულებს გამფილტრავი პროგრამების დაყენებას, აუცილებელია მაქსიმალურად მკაფიოდ დადგინდეს ფილტრაციის რეჟიმზე პასუხისმგებელი პირი. ბიბლიოთეკები უნდა ცდილობდნენ შეინარჩუნონ კონტროლი პარამეტრების აწყობასა და ფილტრაციის დონეზე. მომხმარებლები სრულად უნდა იყვნენ ინფორმირებული ფილტრაციის არსებობის შესახებ და შესაძლებლობა უნდა მიეცეთ სადაო გახადონ ბლოკირების კონკრეტული მომენტები ან მოითხოვონ ბლოკირების კრიტერიუმების შესწორება.

„ბიბლიოთეკები და საინფორმაციო სამსახურები უნდა იცავდნენ მომხმარებელთა უფლებებს ინფორმაციის არჩევანზე“.

ბიბლიოთეკები და საინფორმაციო სამსახურები პატივს უნდა სცემდნენ მომხმარებლების უფლებებს პირად ცხოვრებაში ჩაურევლობასა და მათ მიერ გამოყენებული რესურსების კონფიდენციალურობაზე.

ბ. მომხმარებლის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

- ბიბლიოთეკები პატივს უნდა სცემდნენ ბიბლიოთეკაში ინტერნეტის მომხმარებელთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, ასევე მათ არჩევანს ინფორმაციის მოძიებაზე.

- ბიბლიოთეკარები უნდა აწარმოებდნენ ინტერნეტის მოხმარებასთან დაკავშირებულ ჩანაწერებს მხოლოდ კანონით განსაზღვრული მოცულობით, ამგვარ ჩანაწერებს არ უნდა ინახავდნენ დადგენილ ვადებზე მეტი დროით და იცავდნენ ყველა ჩანაწერის ხელშეუხებლობას.

გ. ინტელექტუალური საკუთრება

- საზოგადოებრივი დაფინანსებით შექმნილი საინფორმაციო რესურსები უნდა განიხილებოდნენ როგორც საზოგადოებრივი მონაპოვარი და ამადვე უნდა რჩებოდნენ.

- გაციფრებაზე საავტორო უფლებებისა და გაციფრების უფლებების მართვის კანონმდებლობის აკრძალვითი ხასიათის გამო ბიბლიოთეკები უნდა იცავდნენ არსებული საავტორო უფლებების კანონიერ ალტერნატივებს, როგორცაა საზოგადოებრივი შემოქმედების გამოყენების უფლება, (Creative Commons)³, რომელიც კი არ ამცირებს, უფრო ზრდის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას.

- ბიბლიოთეკები ხელს უნდა უწყობდნენ საავტორო უფლებების მოქმედების პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ციფრული მასალების დაცვას და საავტორო უფლების მქონეებს ხელი უნდა შეუწყონ იმის გაცნობიერებაში, რომ ონლაინ

³ დაწვრილებით იხ. ლექსიკონი

რესურსების ხანგრძლივი დროის მანძილზე ხელმისაწვდომობის გარანტირება მათი მოვალეობაა.

დ. ქსელური ნეიტრალურობა

- დღესდღეობით ინტერნეტი საზოგადოებრივი, დემოკრატიული ხასიათის საშუალებაა.

- იმისათვის, რომ ინტერნეტმა, რომელიც ტექნიკური თვალსაზრისით წარმოადგენს ინფორმაციისა და მომსახურების გაცემის მექანიზმს, შეინარჩუნოს ნეიტრალურობა, ბიბლიოთეკარები წინ უნდა აღუდგნენ ქსელის ნეიტრალურობის დარღვევის ნებისმიერი სახის მცდელობას⁴.

„ისევე, როგორც სხვა ძირითადი საბიბლიოთეკო მომსახურების შემთხვევაში, ბიბლიოთეკებსა და სხვა საინფორმაციო სამსახურებში ინტერნეტთან დაშვება უფასო უნდა იყოს“.

ე. ხელმისაწვდომობის საფასური

- ბიბლიოთეკარები ონლაინ მომსახურებაზე თანასწორი და სამართლიანი დაშვების უზრუნველსაყოფად უნდა ცდილობდნენ ინტერნეტის უფასოდ შეთავაზებას.

- ის ბიბლიოთეკები, რომლებიც იძულებულნი არიან ინტერნეტი მომხმარებელს გარკვეულ საფასურად შესთავაზონ, უნდა იყენებდნენ დიფერენცირებულ გადასახადს მომსახურებაზე, მაგალითად, დააწესონ გადასახადი ელ.ფოსტის და/ან ჩეთ-ის გამოყენებაზე, მაგრამ შეინარჩუნონ ონლაინ საინფორმაციო რესურსების უფასო ხელმისაწვდომობა.

დიფერენცირებული მიდგომა შეიძლება ემყარებოდეს სხვა საბიბლიოთეკო მომსახურების უკვე არსებული ფასიანი მომსახურების სისტემას და უნდა უზრუნველყოფდეს ფასდაკლებას ან უფასო მომსახურების შეთავაზებას

⁴ დაწვრილებით იხ. ლექსიკონი

უმუშევრების, უნარშეზღუდულებისა და იმ ჯგუფებისთვის, რომელთაც არ აქვთ გადახდის შესაძლებლობა.

8. მომხმარებელთა სწავლება

”ბიბლიოთეკები და საინფორმაციო სამსახურები პასუხისმგებელნი არიან ხარისხიანი ინფორმაციისა და კომუნიკაციის საშუალებების საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე. მომხმარებლის მიერ შერჩეული საინფორმაციო წყაროებისა და მომსახურების თვისუფალი და კონფიდენციალური გამოყენებისთვის აუცილებელია კვალიფიციური დახმარებისა და შესაბამისი პირობების შეთავაზება.

გარდა ინტერნეტში არსებული ხელმისაწვდომი უამრავი ღირებული რესურსისა, არსებობს არასაიმედოც, შეცდომაში შემყვანიც და, შესაძლოა, შეურაცხმყოფელიც კი. ბიბლიოთეკარები ინფორმაციის და რესურსების შეთავაზების გარდა მომხმარებლებს უნდა ასწავლიდნენ ინტერნეტის და ელექტრონული ფოსტის ხარისხიან და ეფექტურ გამოყენებას, მათ ბიბლიოთეკის ყველა მომხმარებელი, ბავშვებისა და მოზარდების ჩათვლით, უნდა უზრუნველყონ ხარისხიანი ქსელური ინფორმაციით”.

- ბიბლიოთეკებმა უნდა უზრუნველყონ ყველა მომხმარებლის სწავლება ინტერნეტში ინფორმაციის მოძიებაზე, ხოლო იქ, სადაც ეს შესაძლებელია, შეასწავლონ ინფორმაციის ძიების მოწინავე მეთოდები.

- პრინციპში, ამგვარი სწავლება უნდა იყოს უფასო, სადაც ეს შეუძლებელია, გამოყენებული უნდა იყოს გადახდის დიფერენცირებული მოდელი.

- ბიბლიოთეკების მიერ შეთავაზებულ საინფორმაციო განათლების პროგრამებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ინტერნეტში ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

- სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ხარისხიანი ქსელური ინფორმაციის მოძიების შესაძლებლობის გაფართოებასა და გამარტივებას, იმის მიუხედავად, ადგილობრივია, ეროვნული თუ საერთაშორისო ხასიათისა ეს ინფორმაცია.

- სწავლებისას უნდა გამოიკვეთოს ინტერნეტის რეალური არსი და, კერძოდ კი, ყურადღება გამახვილდეს იმ ფაქტზე, რომ ქსელში მოპოვებული ზოგიერთი მასალა შეიძლება იყოს საექვო წარმომავლობის და არცთუ ისე სარწმუნო.

- სწავლებამ უნდა აღზარდოს ძიების ალღო. ინფორმაციის მოძიებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სხვა ადამიანების არჩევანის სხვადასხვაგვარობას, ინტერნეტ-ინფორმაციის მრავალფეროვნებას და აუცილებლობას, რომ ხელი არ შეუშალონ სხვა მომხმარებელს და არ დაარღვიონ მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.

- ბიბლიოთეკარები უნდა ეხმარებოდნენ სკოლის მასწავლებლებს ბავშვებისა და მოზარდებისათვის ონლაინ ინფორმაციების მოძიებისა და გამოყენების სწავლებაში.

- ბიბლიოთეკარებმა ბავშვებს უნდა განუვითარონ პასუხისმგებლობა მათ მიერ ინტერნეტის გამოყენებაზე.

- ბიბლიოთეკებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ უნარშეზღუდულებისა და ხნიერი ადამიანების ინტერნეტით სარგებლობის სწავლის სურვილს.

9. ინტერნეტის განვითარების პოლიტიკა

“იღლა მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებრიობას ხელი შეუწყოს ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის გაფართოებას მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით კი განვითარებად ქვეყნებში და, ამრიგად, ყველა უზრუნველყოს ინტერნეტით შემოთავაზებული ინფორმაციიდან მიღებული გლობალური სარგებლით.

იღლა მოუწოდებს ყველა ქვეყნის ეროვნულ მთავრობებს განავითარონ ეროვნული საინფორმაციო ინფრასტრუქტურა, რაც ინტერნეტს ხელმისაწვდომს გახდის მთელი ქვეყნის მოსახლეობისთვის.

იღლა მოუწოდებს ყველა მთავრობებს ხელი შეუწყონ ბიბლიოთეკებსა და საინფორმაციო სამსახურებში ინტერნეტით ხელმისაწვდომი ინფორმაციის

დაუბრკოლებელ მიღებას და წინ აღუდგნენ ცენზურის ან ხელმისაწვდომობის შეზღუდვის ნებისმიერ გამოვლინებას.

იფლას მოუწოდებს საბიბლიოთეკო საზოგადოებებსა და მათ, ვინც იღებს გადაწყვეტილებას სამთავრობო და ადგილობრივ დონეზე, შეიმუშაონ სტრატეგია, პოლიტიკა და გეგმები ამ მანიფესტით გაცხადებული პრინციპების შესასრულებლად”.

- ბიბლიოთეკებმა უნდა შეიმუშაონ ინტერნეტზე დაშვების მკაფიო და გასაგები წესები და განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილონ საბიბლიოთეკო მუშაკებსა და მომხმარებლებს შორის პასუხისმგებლობის განაწილებაზე.

- ეროვნული სამართლებრივი სისტემა განსაზღვრავს ინტერნეტზე დაშვების უზრუნველყოფის პირობებს.

- კანონებს შორის აშკარა წინააღმდეგობების შემთხვევაში ბიბლიოთეკებმა უნდა იხელმძღვანელონ ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციაში მოცემული პრინციპებით, როგორც ინფორმაციის თავისუფალი ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზების საშუალებით.

- ბიბლიოთეკა პასუხისმგებელია ინტერნეტით მომსახურებისთვის შექმნას გარემო, რომელშიც ყველა მომხმარებელი თანაბარ პირობებში იქნება და რომელშიც პატივს სცემენ როგორც მათი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ასევე მათ გადაწყვეტილებებს ინფორმაციის მოძიებასთან დაკავშირებით.

- მომხმარებელმა ბიბლიოთეკარის დახმარებით ქსელში მუშაობისას უნდა დაიცვას კანონები და პატივი სცეს სხვა მომხმარებელს ქსელში მასალის მოძიებისას, ასევე ტოლერანტობა გამოიჩინოს ინფორმაციის მოძიებით დაკავებული სხვა ადამიანების მიმართაც.

- იმ შემთხვევაში, როდესაც ბიბლიოთეკებს მინიჭებული აქვთ უფლება ყურადღება მიაქციონ ბავშვებსა და ახალგაზრდებს, რათა არ აღმოჩნდნენ იმ მასალების არასასურველი ზეგავლენის ქვეშ, რომლებსაც მათი მშობლები და აღმზრდელები მათთვის საზიანოდ ჩათვლიდნენ, აუცილებელია განხილულ იქნეს დამატებითი სწავლების, სპეციალური ადგილების, აგრეთვე ბავშვებისათვის განკუთვნილი სპეციალური მოწყობილობებისა და ინტერნეტ პორტალის შეთავაზების შესაძლებლობა.

- ინტერნეტით სარგებლობის წესები უნდა ექვემდებარებოდეს რეგულარულ განახლებას, რათა შეესაბამებოდეს ცვლად გარემოში საბიბლიოთეკო სამსახურის მიზნებსა და ამოცანებს.

- ბიბლიოთეკები მომხმარებლებთან ერთად უნდა ცდილობდნენ ინტერნეტით სარგებლობის კონცეფციის, ან ხელმისაწვდომობის გამოყენების წესების გაფართოებას მომხმარებლის ქარტიის ან შეთანხმებების შემუშავებით. ამგვარი შეთანხმებები აწესრიგებენ ბიბლიოთეკებისა და მათი მომხმარებლების უფლებებსა და მოვალეობებს იმ დოკუმენტებით, რომლებიც მოწოდებული არიან უზრუნველყონ ინტერნეტისა და სხვა ონლაინ საშუალებების ჰარმონიული და პოზიტიური გამოყენება.

ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი

Acceptable Use Policy (AUP) – მოხმარების მისაღები პოლიტიკა

მომხმარებლის მისაღები პოლიტიკა ბიბლიოთეკის მომხმარებელს საშუალებას აძლევს გაიგოს რა არის მისაღები და რა არა ბიბლიოთეკის კომპიუტერის გამოყენებისას და რა სანქციები შეიძლება იყოს გამოყენებული, თუ მომხმარებლები დაარღვევენ დადგენილ წესებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს წესები სავარაუდოდ სხვადასხვა იქნება სხვადასხვა ბიბლიოთეკებისთვის, ზოგიერთი მათგანი საერთო იქნება ყველასთვის. მაგალითად, ისინი, რომლებიც ეხება მოწყობილობების უკანონო გამოყენებას (დაშვების ნებართვის გარეშე საბიბლიოთეკო კომპიუტერების გამოყენება სხვა კომპიუტერებში შესაძლებელია). წესები მომხმარებელს ინფორმაციას უნდა აწვდიდნენ მათი პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოიცავს როგორც კანონით დადგენილ, ასევე ბიბლიოთეკით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ასეთი წესები აუცილებელია იმისთვის, რომ კანონით იყოს დაცული ბიბლიოთეკა უსიამოვნებებისგან და სწორედ ამიტომ უნდა განემარტოთ მათ მომხმარებლებს, რომ ბიბლიოთეკა პასუხს არ აგებს ქსელში მათ ქმედებებზე, რაც უკავშირდება ელექტრონულ ვაჭრობასა და მესამე პირების მიერ მომხმარებლის შესაძლებელ მოტყუებას, რაც მომხმარებლისათვის დანაკარგებით მთავრდება. მაგალითად, წესებში განიმარტება, რომ ყველა ონლაინ ოპერაციები მომხმარებლისათვის რისკის მატარებლები არიან და არ შედიან ცენტრის პასუხისმგებლობის სფეროში. ამგვარი

წესების საბოლოო მიზანს წარმოადგენს ცენტრსა და მომხმარებელს შორის შეთანხმების საზღვრების დადგენა – ისინი უნდა განსაზღვრავდნენ მომსახურების ჩარჩოებს, ადგენდნენ, კონკრეტულად რომელი მომსახურება უნდა იყოს შეთავაზებული და რა შეიძლება გახდეს უარის მიზეზი მომსახურების გაწევაზე.

Access – ხელმისაწვდომობა

“ხელმისაწვდომობას”, „დაშვებას“, როგორც ცნებას უამრავი აზრობრივი ელფერი აქვს. ძირითადი განსაზღვრება კი არის თავისუფლება, ანუ რესურსების გამოყენების შესაძლებლობა. ბიბლიოთეკებში ეს ცნება რამდენადმე ფართოა, რადგანაც ის შეიძლება გამოყენებული იყოს საბიბლიოთეკო სამუშაოს სხვადასხვა ასპექტების აღსანიშნავად, მაგალითად, მასალები, რომელიც გაიცემა “ინტერნეტთან დაშვების სამსახურის ბიბლიოთეკარის” მიერ, ან მასალების სისტემატიზაციისა და ლოკალიზაციის საქმიანობისათვის, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ “ფონდებთან დაშვების გაუმჯობესების” პროცესის ნაწილი. მიუხედავად ამისა, ტერმინის – “ხელმისაწვდომობა” მნიშვნელობა ტექნოლოგიურ ტერმინოლოგიაში არ ეწინააღმდეგება ამ ცნების ზემოთმოყვანილ ინტერპრეტაციებს.

Access to the Internet – ინტერნეტთან დაშვება

დღესდღეობით “ინტერნეტთან დაშვების”, “ინტერნეტის ხელმისაწვდომობის” ყველაზე გავრცელებული ახსნა გულისხმობს მომუშავე კომპიუტერს შესაბამისი ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფით და სატელეკომუნიკაციო არხთან მიერთებას ინტერნეტში შესასვლელად. თუმცა ხელმისაწვდომობის ცნება უფრო რთულია. მომხმარებლებს, რომლებიც სარგებლობენ ინტერნეტთან მიერთებული კომპიუტერებით, ამ მოწყობილობის გამოყენებასა და მათთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოძიების სფეროში განსხვავებული კვალიფიკაცია აქვთ. პრობლემები, რომლებიც მნიშვნელოვანია ინტერნეტთან დაშვებისას, მოიცავენ მომხმარებლის საბაზისო ციფრული ელექტრონული ტექნოლოგიების ცოდნის დონეს (ინტერნეტის არქონის, კიბერშიშისა და ახალი ტექნოლოგიების მიუღებლობის გამორიცხვით); ხელმისაწვდომობის დონეს, რომელზედაც სოციალური ფაქტორები (შემოსავლის,

განათლების, დასაქმების ხასიათის, ასაკის, სქესის, ეთნიკური კუთვნილების, ასევე გეოგრაფიული მდგომარეობის ჩათვლით – ქვეყნის შიგნით, ან ქვეყნის გლობალური პოზიციის თვალსაზრისით) მოქმედებენ კომპიუტერებთან და ქსელთან მიერთებისას; მომხმარებელთა უნარებს ციფრულ სფეროში ანუ აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის მართვის უნარებს; და საინფორმაციო უნარებს, – ინფორმაციის ძიებისა და მოპოვებული ინფორმაციის გამოყენების უნარს საკუთარი მიზნების მიღწევისა და საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საზოგადოებაში, სამსახურში, განათლებაში და კულტურულ მოღვაწეობაში.

Article 19 – მუხლი 19

ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია (გაერო, 1948) იძლევა ადამიანის უფლებების დაცვისა და უზრუნველყოფის დასადგენ საერთო ჩარჩოებს. ინფორმაციის თავისუფალი ხელმისაწვდომობის (დაშვების) და გამოხატვის თავისუფლების ცნება მკაფიოდაა განსაზღვრული ადამიანის უფლებების დეკლარაციის მე-19 მუხლში:

“ყოველ ადამიანის აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოხატვისა: ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას დაუბრკოლებლად იქონიოს თავისი მრწამსი და ეპიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებით და სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად”.

საყოველთაო დეკლარაციის მე-19 მუხლი მეტად მნიშვნელოვანია საერთაშორისო საბიბლიოთეკო საზოგადოებისათვის, რადგანაც მასში ნათქვამია, რომ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაციის გადაცემის საშუალებებისა და საზღვრების მიუხედავად. ამისი ლოგიკური შედეგია ის, რომ ბიბლიოთეკების მომხმარებლებს აქვთ ინტერნეტიდან ინფორმაციის თავისუფლად მოპოვების უფლება.

Blogs – ბლოგები

ტერმინი ბლოგი “ბლოგ” არის ინგლისურენოვანი ტერმინის “web” და “log”- ის შერწყმა, რომელთაც შექმნეს თავდაპირველად ტერმინი “web log”, “weblog”, შემდეგ კი - “blog”. ბლოგის ავტორინგი (საავტორო ნაშრომი), ბლოგის მხარდაჭერა ან არსებულ ბლოგზე სტატიის დამატება აღინიშნება ტერმინით “ბლოგინგი” (blogging). ცალკეული სტატიები ბლოგში “ბლოგ ჩანაწერებად” (blog post) იწოდებიან, “ჩანაწერებად” (posts) ან “სტატიებად” (entries). ამ სტატიების დამწერს “ბლოგერი” ჰქვია (blogger). ტერმინი “web log” ხმარებაში დაამკვიდრა იორნ ბარგერმა (Jorn Barger) 1997 წლის 17 დეკემბერს. “blog” - ის მოკლე ფორმა შექმნა პეტერ მერჰოლცმა (Peter Merholz). მან სიტყვა weblog-ი აქცია მყარ გამოთქმა “weblog”-ად, რითაც თავის ვებლოგში 1991 წლის აპრილსა თუ მაისში შეტანილი სიტყვა “ბლოგ” მიღებულ იქნა როგორც არსებითი სახელი (weblog-ის შემოკლება) და როგორც ზმნა (to blog), რაც ნიშნავს “საკუთარი ვებლოგის (weblog) რედაქტირებას” ან განთავსებას საკუთარ ვებლოგზე”. 2003 წლის მარტში ტერმინები weblog, weblogging და weblogger შეტანილ იქნა ოქსფორდის ლექსიკონში (the Oxford English Dictionary).

ბლოგს აქვს თავისი დამახასიათებელი თვისებები, რაც მას განასხვავებს სტანდარტული ვებ გვერდისაგან. ის იძლევა ახალი გვერდების მარტივად შექმნის საშუალებას: ახალ მონაცემებს შეიყვანს მარტივ ფორმაში (როგორც წესი, სათაურით, კატეგორიისა და საკუთრივ სტატიის მითითებით) და შემდეგ ხდება მისი მომხმარებლისთვის შეთავაზება. სტატიის დამატება საშინაო გვერდზე ხდება ავტომატიზირებული შაბლონების საშუალებით, რაც ქმნის ახალ სრულ გვერდს სტატიით (Permalink), მათ სტატია შეაქვთ შესაფერის არქივში თარიღის ან კატეგორიის მითითებით. ეს იძლევა შინაარსის (content) ადვილად გაფილტვრის საშუალებას სხვადასხვა პრეზენტაციებისთვის: თარიღის, კატეგორიის, ავტორებისა და სხვა მახასიათებლების მითითებით. ეს ადმინისტრატორს საშუალებას აძლევს მოიწვიოს და დამატოს სხვა ავტორები, რომლებთანაც ადვილია შეთანხმება ხელმისაწვდომობის საკითხებზე. არსებობს შემდეგი ტიპის ბლოგები:

- პირადი – მოიცავს ონლაინ დღიურებს, ცოცხალ ჟურნალებს და სხვ.
- პროფესიული და სამსახურეობრივი
- ფასიანი ბლოგები

- კულტურული
- თემატური
- საქმიანი
- სამეცნიერო
- მობლოგი – მაგალითად, ისეთი, რომლის შინაარსებიც განთავსდებიან მობილური ტელეფონიდან ან პერსონალური ციფრული სამდივნოდან (PDA)
- ერთობლივი – პირთა ჯგუფის მიერ დაწერილი ბლოგები
- ეკლექტური
- საგანმანათლებლო
- დირექტიული – მითითებების, ინსტრუქციების შემცველი
- შემაკავშირებელი
- სადისკუსიო (ფორუმი)
- სპემური
- ესკიზური
- ფოტობლოგები
- პოლიტიკური ბლოგები

Censorship - ცენზურა

ცენზურას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც საინფორმაციო რესურსებს, ბეჭდური იქნება ეს თუ ციფრული წყაროები, ან აუდიოვიზუალურ მასალებს, ამოიღებენ მოხმარებიდან ცენზურის განმახორციელებელი ხელისუფლების ორგანოები. პრაქტიკაში ეს იმას ნიშნავს, რომ წიგნი შეიძლება გაქრეს (აღებულ იქნეს) ბიბლიოთეკის თაროდან ან წიგნის მაღაზიიდან, ვებ გვერდი შეიძლება დაიბლოკოს ან ფილმის ჩვენება შეიძლება აიკრძალოს კინოთეატრებში და ამგვარი ქმედებების საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს რომელიმე მესამე მხარის გადაწყვეტილება. მასალები ცენზურას იმის საფუძველზე ექვემდებარება, თუ რა ითვლება არასასურველად მორალური, პოლიტიკური ან რაღაც სხვა თვალსაზრისით.

The Commons - საზოგადოებრივი რესურსები

ე.წ. “საზოგადოებრივი რესურსები” ის რესურსებია, რომლებიც საზოგადოებრივ მფლობელობაშია და რომელთა გამოყენება თანაბრად შეუძლია როგორც ერთ, ისე რამდენიმე ადამიანსაც. როგორც წესი, შესაბამისი თემის თითოეულ წევრს აქვს მასზე უფლება და საჭირო არ არის ვინმეს თანხმობა მათ გამოყენებაზე, მაგალითად, საყოველთაოდ ხელმისაწვდომია ქუჩები, პარკები და პლაჟები. თუმცა ეს ფიზიკური ობიექტებია, მაგრამ საზოგადოებრივ საკუთრებაში არსებული რესურსები შეიძლება იდეებიც იყოს, როგორიცაა აინშტაინის ფარდობითობის თეორია ან საზოგადოებრივ მონაპოვარს მიკუთვნებული ნაშრომები, ისეთები, როგორებიცაა შექსპირის ნაწარმოებები. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საზოგადოებას ეკუთვნის და თითოეული შეიძლება “უფასოდ” იყოს გამოყენებული სხვების მიერ. არსებობს გამონაკლისიც – მაგალითად, ავტოსტრადით სარგებლობის საფასური – მაგრამ არსი იმაში მდგომარეობს, რომ “ცალკე არავის აქვს უფლება ამ რესურსებზე”. უფრო მეტიც, არსებობს საზოგადოებრივი რესურსების ორი სახე. კონკურენტული საზოგადოებრივი რესურსები ქალაქის საზღვართან მდებარე საძოვრის მსგავსია, რომელსაც თუ ვინმე ზედმეტად გამოიყენებს თავისი ძროხებით, სხვებს შეუშლის, ხოლო არაკონკურენტული საზოგადოებრივი რესურსები მოიცავენ ინტელექტუალური მოღვაწეობის პროდუქტებს. მაგალითად, თუ ვინმე გამოიყენებს შექსპირის სონეტებს ან აინშტაინის თეორიას, ეს არავის არანირად არ შეუშლის ხელს.

Content Rating Systems - შინაარსის (content) რეიტინგული შეფასების სისტემები

შინაარსის (content) რეიტინგული შეფასების სისტემები წარმოადგენენ ალტერნატივასა და დამატებას გამფილტრავი პროგრამებისთვის, რომლებიც იყენებენ შავ სიებს, თეთრ სიებს და შინაარსის ანალიზს. ინტერნეტში შინაარსის (კონტენტის) შესარჩევი კომპიუტერული სისტემა (The Platform for Internet Content Selection – PICS) წარმოადგენს ყველაზე ცნობილ სისტემას. ის შემოღებულ იქნა World Wide Web (W3C)-ის კონსორციუმის მიერ 1995 წელს. PICS წარმოადგენს ინფრასტრუქტურას, რომელიც განკუთვნილია ინტერნეტში კონტენტის უსასყიდლო

მარკირებისა და შერჩევისთვის. ის იძლევა მეტამონაცემების ვებ გვერდებთან დაკავშირების შესაძლებლობას. ამის შედეგად ის გარკვეულწილად ფუნქციონირებს კინოფილმების რეიტინგული შეფასებების სისტემის მსგავსად. ვებ კვანძების ადმინისტრატორები ვებ საიტებს ახარისხებენ კონტენტის აღწერილობის გარკვეული კატეგორიების მიხედვით. (მაგალითად, სიშიშვლე, ძალადობა, სექსუალური შინაარსი და ა.შ.) და იყენებენ შეფასებას თითოეულ კატეგორიაში. ეს ხდება მეტამონაცემების გენერატორის ფორმის ინდივიდუალური შევსების საშუალებით, რომელსაც წარმოადგენს რეიტინგული შეფასების ორგანიზატორი ვებ საიტები, ან ვებ საიტის შინაარსის კომპიუტერული ანალიზის საშუალებით. ვებ საიტის რეიტინგული შეფასება ამტკიცებს, რომ შემოთავაზებული მასალებიდან ზოგიერთი არ არის მისაღები ნებისმიერი აუდიტორიისათვის, მეტამონაცემების დამატება კი აადვილებს გამფილტრავი პროგრამებისათვის შესაბამისი ხელმისაწვდომობის ბლოკირებას. როგორც კი რეიტინგული ფორმა შეივსება, ხდება HTML აღნიშვნა, იმისათვის, რომ ვებ კვანძის ადმინისტრატორებმა შეძლონ მისი ჩასმა თავისი ვებ გვერდების მმართველ პროგრამაში კონტენტის ტიპის ასაღწერად, რომელიც შეიძლება მოძიებულ იქნეს მოცემულ საიტზე. რეიტინგული შეფასების სისტემები ხელმისაწვდომია არა მხოლოდ ადმინისტრატორებისა და ავტორებისათვის, არამედ ისინი ასევე არიან მესამე მხარეთა განკარგულებაში საიტების შეფასებისა და აღწერისათვის და, შესაბამისად, შესაძლო ცენზურისთვისაც. მომხმარებლებს შეუძლიათ გამოიყენონ კონტენტის შეფასების პროგრამები იმისათვის, რომ განსაზღვრონ, როგორი ტიპის მასალებზე არ უნდათ, რომ მათ ხელი მიუწვდებოდეთ. როდესაც მომხმარებელი ცდილობს რომელიმე ვებ საიტზე შეღწევას, აწყობის პარამეტრებს შეადარებენ ვებ გვერდის რეიტინგულ შეფასებას ან, თუ რეიტინგული შეფასებები არ შეესაბამებია მომხმარებლის მოთხოვნებს, ხელმისაწვდომობა უარყოფილია.

Copyright – საავტორო უფლება

საავტორო უფლებების მიზნები მოიცავს შემოქმედების ხელშეწყობას ხელოვნების ნაწარმოებების შემქმნელთა უფლებების დაცვის საშუალებით. საავტორო უფლებები შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ავტორის, კომპოზიტორის,

დრამატურგის, გამომცემლის ან ექსკლუზიური პუბლიკაციის, ნაწარმოების გამავრცელებლისთვის კანონით გარანტირებული უფლება ლიტერატურული, მუსიკალური, თეატრალური ან მხატვრული ნაწარმოებების გაყიდვაზე ან გავრცელებაზე. საავტორო უფლება არის ინტელექტუალური საკუთრების სახე და ის არსებობს დროის შეზღუდული პერიოდის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ პერიოდის ხანგრძლივობა, რომლის დროსაც გარანტირებულია საავტორო უფლებები, სხვადასხვაა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებსა და რეგიონებში, საერთოა ტენდენცია საავტორო უფლებების მოქმედების დროის გაზრდაზე. ის ნაშრომები, რომლებიც არ ხვდებიან საავტორო უფლებების მოქმედების არეალში, განეკუთვნებიან საზოგადოებრივ მონაპოვარს, ისინი ეკუთვნიან “კულტურას, რომელზედაც არ ვრცელდება შეზღუდვა” და მათი გამოყენებისთვის არ არის საჭირო რაიმე სახის თანხმობა. კანონი საავტორო უფლებებზე გავლენას ახდენს ბიბლიოთეკის მოღვაწეობის მრავალ ასპექტზე. ის გავლენას ახდენს ბიბლიოთეკარების მიერ მომხმარებლისთვის შეთავაზებულ მომსახურებასა და იმ პირობებზე, რომლითაც შეუძლიათ ხელმისაწვდომი გახადონ საავტორო უფლების მქონე მასალები.

ეს აისახება ბიბლიოთეკის, როგორც ნავიგაციური შუამავლის მოღვაწეობაზე, რომელიც განახორციელებს არქივის შექმნასა და შენახვას. თუმცა, დღესდღეობით საავტორო უფლება იშვიათად გამოიყენება გამოხატვის თავისუფლების უხეში შეზღუდვისთვის პოლიტიკური თვალსაზრისით, ის, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე გამოხატვის თავისუფლება ინფორმაციის, იდეისა და შემოქმედების გავრცელებისთვის. მაგალითად, სამეცნიერო ჟურნალების გავრცელებაზე არსებული შეზღუდვების გამო, რაც დაკავშირებულია საავტორო უფლებებთან, მცირდება ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა.

Creative Commons (CC) – შემოქმედებითი ხასიათის ნაშრომების

საზოგადოებრივი გამოყენების უფლება

შემოქმედებითი ხასიათის ნაშრომების საზოგადოებრივი გამოყენების უფლების მიმნიჭებელი (Creative Commons – CC) არის არაკომერციული ორგანიზაცია, რომლის საქმიანობაც მიმართულია შემოქმედებითი ხასიათის ნაშრომების

დიაპაზონის გაფართოებაზე და, რომელიც კანონიერ საფუძველზე ნებისმიერი მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომს ხდის მათ გამოყენებასა და გაცვლას. საზოგადოებრივი შემოქმედების გამოყენების უფლება საშუალებას აძლევს საავტორო უფლების მფლობელებს გადასცენ თავიანთი უფლებების ნაწილი საზოგადოებას და დარჩენილი ნაწილი შეინახონ ლიცენზირებითა და საკონტრაქტო სქემებით, რომლებიც ითვალისწინებენ საზოგადოებისათვის საჩუქრად გადაცემას ან შინაარსის უბრალო ლიცენზირებას.

CC სთავაზობს რამდენიმე უფასო ლიცენზიას, რომელთა გამოყენებაც შეუძლიათ საავტორო უფლებების მფლობელებს თავისი ნაშრომების ქსელში განთავსებისას. CC-ს შტაბ-ბინამ სან-ფრანცისკოში 2001 წელს ოფიციალურად გამოუშვა ლიცენზიები და დღესდღეობით მათ იყენებს რამდენიმე მილიონი ვებ გვერდი. უფრო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება საიტზე <http://creativecommons.org/>

Creative Power Supply/Software/Hardware Applications – შემოქმედებითი მიდგომა კვების წყაროს, პროგრამული და აპარატული უზრუნველყოფის გამოყენებისადმი

ენერგომომარაგების პრობლემების შემოქმედებითად გადაჭრის მცდელობები მოიცავენ კვების ისეთი ალტერნატიული წყაროების გამოყენებას, როგორებიცაა კვების წყაროები მზის ენერჯიაზე, ენერჯის მიღება პედლების ბრუნვის მეშვეობით ან კვების წყაროები სათბობის გამოყენების გარეშე. საკუთრებაში არსებული პროგრამული დანართების შემოქმედებითი ალტერნატივები მოიცავენ ღია პროგრამულ საშუალებებს, ანუ იმ პროგრამულ საშუალებებს, რომელთა საწყისი ტექსტები გამოქვეყნებულია და ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის, რაც საშუალებას აძლევს ნებისმიერ მომხმარებელს აიღოს ასლი, სახე უცვალოს და საწყისი ტექსტი გადაანაწილოს საავტორო დარიცხვების ან სხვა გასამრჯელოს გადაუხდელად. ანალოგიური სახით, აპარატურის შემოქმედებითი გამოყენება მოიცავს ღია პროგრამული საშუალებების გამოყენების პრინციპებს, რაც საშუალებას აძლევს მომხმარებელს სხვა მომხმარებლებთან თანამშრომლობით შეიმუშაოს აპარატურული საშუალებები. უფრო მეტიც, ახალი თაობის იაფი პორტატული,

სამაგიდო ან სიმპიუტერის ტიპის (simputer) ჯიბის კომპიუტერები, ასევე წარმოადგენენ უკვე არსებული ძვირი კომპიუტერების ალტერნატივას.

Digital Rights Management – საავტორო უფლებების ციფრული მართვა

დღესდღეობით ტექნოლოგიის საშუალებებით შეიძლება საავტორო უფლებების ძალაში შეყვანა და მოწესრიგება. რეგულირების მექანიზმები შეიძლება ჩამოშენებული იყოს ხელმისაწვდომობის საშუალებებში. საავტორო უფლებების ციფრული მართვის ტექნოლოგიები (DRM) სპეციალურადაა განკუთვნილი საავტორო ნაშრომების გამოყენებაზე კონტროლისთვის. ამ ტექნოლოგიების საშუალებით ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული სტრატეგია, რომელიც შემუშავებულია პროგრამულ უზრუნველყოფაზე, მუსიკაზე, ფილმებსა და სხვა ციფრულ მონაცემებთან და აპარატურულ საშუალებებზე ხელმისაწვდომობის კონტროლისთვის. ციფრული საავტორო უფლებების მფლობელს უფლებების ციფრული მართვა (DRM) საშუალებას აძლევს დააყენოს ის საშუალებები, რომლებიც მისი მუშაობის გაძლიერებული დაცვის გარანტია იქნება. ეს დაცვა, თავის მხრივ, რამდენიმე ქვეყანაში განმტკიცებულია “ანტიმეკობრული” კანონმდებლობით. ამგვარი დაცვის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ მომხმარებელს საშუალება არ მიეცეს დაკავდეს საქმიანობით, რომელსაც იცავს კანონი, მაგალითად, კეთილსინდისიერად გამოყენების კანონი. ისეთი ტიპის საკანონმდებლო აქტები, როგორცაა აშშ-ში მიღებული კანონი ციფრულ ეპოქაში საავტორო უფლებების დაცვაზე, პირდაპირ კრძალავს საავტორო უფლებით დაცულ ნაშრომზე ხელმისაწვდომობის მაკონტროლებელი ტექნიკური საშუალებების გვერდის ავლას და დიდი ჯარიმით და ციხითაც კი ემუქრება მის დამრღვევებს. (DRM)-ის გადამეტებული გამოყენება ზღუდავს მომხმარებლის შესაძლებლობებს შეძენილი ნაშრომების გამოყენებაზე და შესაძენევად ამცირებს მოხმარებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ უფლებას.

Duty of Care – ზრუნვის მოვალეობა

ბიბლიოთეკები, ყველა საბიბლიოთეკო მოთხოვნილების უზრუნველყოფისას, საინფორმაციო რესურსებზე მაქსიმალურად ფართო დიაპაზონის ხელმისაწვდომობის შეთავაზებასთან ერთად, უნდა ისწრაფვოდნენ გააწონასწორონ “მზრუნველობის მოვალეობა” არასრულწლოვანებთან და მათთან მიმართებაში, ვისაც არ სურს განსაზღვრული მასალების ზემოქმედების ქვეშ მოქცევა. საჯარო ბიბლიოთეკის პირობებში აუცილებლად იარსებებს გამონაკლისები ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის თავისუფლების თვალსაზრისით, რომლებიც წარმოიშობა ბალანსის შენარჩუნების პროცესში თავისუფლების მომხრეებსა და მათ შორის, ვინც ზოგიერთი ტიპის ინფორმაციაზე მეტი შეზღუდვის მომხრეა.

Equal access – თანასწორი ხელმისაწვდომობა

ინფორმაციის თანასწორი ხელმისაწვდომობა იმას ნიშნავს, რომ საინფორმაციო რესურსებზე ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბიბლიოთეკით მოსარგებლე საზოგადოების თითოეული წევრისათვის, მიუხედავად წარმოშობის, ასაკის, წრის თუ შეხედულებებისა. აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მარგინალურ, უმუშევარ, უქონელ, თავისი უფლებებით ნაკლებად მოსარგებლე ადამიანებს, ბავშვებს, უფროსებს, უნარშეზღუდულებს, ძირძველი მოსახლეობის წარმომადგენლებსა და განსაკუთრებული მოთხოვნილებების მქონე ადამიანებს. ინფორმაციასთან დაშვების საფასური უნდა იყოს სამართლიანი, ნებისმიერი მომხმარებლის მოთხოვნები კი – გათვალისწინებული. ინფორმაციის თანაბარი ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია, თუ ყურადღების ცენტრში მომხმარებელია, არ არსებობს დაბრკოლებები (ბარიერები) და როდესაც დოკუმენტის ფორმატს არ აქვს მნიშვნელობა.

Equitable – სამართლიანი

როდესაც ზოგიერთი მომხმარებელი ჩამოცილებულია საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვან მონაწილეობას ან არ აქვს ამისათვის აუცილებელი ცოდნა, შემოსავალი, მოწყობილობები ან მომზადება, სამართლიანობის მისაღწევად მათ უნდა გადალახონ ყველა დაბრკოლება ხელმისაწვდომობის გზაზე. ინფორმაციის

სამართლიანი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ბიბლიოთეკებმა უნდა გადადგან ხელმისაწვდომობის დამაბრკოლებელი ან მისი შემზღუდავი ფაქტორების აღმოფხვრაზე მიმართული ნაბიჯები. გარკვეული ჯგუფებისთვის ხელმისაწვდომობის შესაძლებლობის მაქსიმალურად გაფართოებისთვის აუცილებელია რესურსების მიმართვა შესაძლებლობათა გათანაბრებისკენ, მაგალითად, მომხმარებელთა კონკრეტული ჯგუფებისთვის: ასაკოვანი ან ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანებისთვის განკუთვნილი პროგრამების სწავლების საშუალებით.

Filtering – ფილტრაცია

ინტერნეტის ფილტრაციას უწოდებენ მეთოდებს, რომელთა საშუალებითაც ხდება ინტერნეტში ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე კონტროლი. უფრო მარტივად, ფილტრაციის პროგრამები საშუალებას არ აძლევენ მომხმარებელს ინტერნეტში მოიპოვონ გარკვეული ტიპის ინფორმაცია. გამფილტრავი და დამბლოკავი პროგრამების უმრავლესობა აძლიერებს მსოფლიო ქსელზე (World Wide Web) ხელმისაწვდომობის შეზღუდვას და ასრულებს შუამავლის როლს მომხმარებელსა და მის ინტერნეტთან მიერთებას შორის. ფილტრაცია შეიძლება განხორციელდეს ადგილობრივ დონეზე – მაგალითად, ცალკეულ პერსონალურ კომპიუტერზე ან ბიბლიოთეკაში პერსონალური კომპიუტერების ჯგუფზე – ან შეიძლება განხორციელდეს ქვეყნის დონეზე, თუ გამფილტრავი პროგრამა ჩაშენებულია ინტერნეტის ეროვნულ ინფრასტრუქტურაში.

გამფილტრავი პროგრამული უზრუნველყოფის კომპლექტების უმეტესი ნაწილი იძლევა ფილტრაციის ჩართვის, მისი გათიშვის ან შინაარსის ზოგიერთ კომბინაციაში ანალიზის განხორციელების საშუალებას. სიებზე დამყარებული დამბლოკავი პროგრამები დამოკიდებულია ვებ საიტების სიების შექმნაზე შესაძლო კატეგორიზაციისთვის. შემდგომ ავტომატიზირებული სისტემები ანალიზებენ ვებ გვერდების შესაბამის სიებს და იღებენ გადაწყვეტილებას, მისცენ თუ არა მომხმარებელს შერჩეული სტატიით სარგებლობის უფლება იმაზე დაყრდნობით, ნაპოვნია თუ არა ნებადართული საიტების სიაში (ჩართვის ფილტრაცია) მისთვის საინტერესო ვებ გვერდი, თუ არ არის ნაპოვნი აკრძალული საიტების სიაში

(გამორიცხვის ფილტრაცია). ტერმინი “ვებ საიტი” შეიძლება აღნიშნავდეს (www.geocities.com/libraries) სერვერზე ფაილების ცალკეულ კატალოგს ან მთელ სერვისს, რომელიც შეიცავს მრავალი მომხმარებლის მიერ წარმოდგენილ შინაარსს (კონტენტს) (www.geocities.com). ამგვარად, ვებ გვერდი შეიძლება იყოს პატარა, როგორც ერთი გვერდი ან გვერდების ნაერთი, ან შეიძლება იყოს დიდი, როგორც კატალოგი, სერვერი ან სერვერთა რიგიც კი. ფილტრაციას შინაარსის (კონტენტის) ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავუკავშიროთ ცალკეული წინადადებების (ვებ გვერდების) ყველა წიგნებთან (დომენებთან) შედარებული ცენზურა. კონტენტის ანალიზის პროგრამა ვებ გვერდზე ეძებს სიტყვებს, რომელთაც აქვთ განსაკუთრებული თვისებები და თუ აკრძალული სიტყვა ნაპოვნია, ფილტრაციის პროგრამა ხელს უშლის მომხმარებელს ისარგებლოს ამ გვერდით.

იმის გამო, რომ ფილტრაციაზე გადაწყვეტილებას მესამე მხარე იღებს, ხშირად ეს არიან კერძო პირები, რომლებმაც ცენზურის პრივატიზაციამდეც კი მიჰყავართ. დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი კონტექსტუალური ინფორმაცია და არჩევანის დიაპაზონი ცდება ინფორმაციული ძიების პროცესს. მარკირებისა და ბლოკირების პროცესში გამჭვირვალობის არქონა მომხმარებელს არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს და ტოვებს გამფილტრავი პროგრამების ანაბარა. ფილტრები წარმოადგენენ “უხეშ ინსტრუმენტებს”, რომელთაც არც ზღვრის გავლება შეუძლიათ მოზრდილებსა და არასრულწლოვანებს შორის, არც ისეთი სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც ადამიანებს შეუძლიათ. მათ არ შესწევთ უნარი განასხვავონ რეალური და კომპიუტერით შექმნილი პორნოგრაფია და ყველაფერთან ერთად აქვთ სპეციფიური წარმოდგენები სექსუალურ ჯანმრთელობაზე, კონტრაცეფციასა და სამედიცინო პრობლემებზე. გამფილტრავ პროგრამებს არ აქვთ დახვეწილი გამოცდილება, რაც იწვევს ან ზედმეტი ბლოკირების ან არასაკმარისი ბლოკირების პრობლემებს, რომელთაც გვერდს ვერ აუვლი მიუხედავად 10 წლის მანძილზე არსებული ფართოდ გავრცელებული გამფილტრავი პროგრამებისა.

Freedom – თავისუფლება

ცნებამ “თავისუფლება” შეიძლება გარკვეული გაუგებრობა გამოიწვიოს საბიბლიოთეკო და საინფორმაციო სფეროებში. ბიბლიოთეკაში “თავისუფლება” შეიძლება აღნიშნავდეს მომსახურებას, რომელიც “თავისუფალია გადასახადისაგან”. ეს შეიძლება იყოს “კონტროლისაგან თავისუფალი” მომსახურებაც. ძალიან ხშირად გაუგებარია, რომელი იგულისხმება ამ ორიდან. “თავისუფლება” იმ გაგებით, რომლითაც ეს ტერმინი გამოყენებულია იფლა-ს/იუნესკო-ს სახელმძღვანელო მითითებებში მანიფესტის შესახებ, აღნიშნავს ინფორმაციას, რომელიც არ ექვემდებარება კონტროლს, თუმცა მნიშვნელობა “უფასო” შენარჩუნებულია.

Freedom of Access to information – ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თავისუფლება

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თავისუფლება წარმოადგენს მოქალაქეთა უფლებას არა მხოლოდ გამოხატონ თავიანთი შეხედულებები, არამედ ასევე ხელი მიუწვდებოდეთ სხვათა მიერ გამოხატულ აზრთა ყველანაირ სპექტრზე. ბიბლიოთეკებთან მიმართებაში ეს ნიშნავს იმ იდეების ხელმისაწვდომობის შეთავაზებასაც, რომლებსაც თავად ბიბლიოთეკარები შეურაცხმყოფლად ჩათვლიდნენ.

Freedom of Expression – გამოხატვის თავისუფლება

გამოხატვის თავისუფლება ნიშნავს თითოეული ადამიანის თავისუფლების გამოხატოს თავის მრწამსი და აზრი ნებისმიერი მისთვის მისაღები საშუალებით. ამგვარი თავისუფლება მოიცავს ყველაზე არაპოპულარული იდეების გამოხატვის თავისუფლებას რეპრესიების შიშის მიუხედავად და მოქალაქეთა ყველაზე არაპოპულარული უმცირესობის დაცვის უფლებას, თუ მათ აქვთ ამგვარი იდეების გამოხატვის სურვილი. ეს თავისუფლება ვრცელდება ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, მუსიკასა და სიტყვის თავისუფლებაზე. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-19 მუხლი საშუალებას იძლევა გამოხატვას “ნებისმიერი საშუალებით”, ეს იმას ნიშნავს, რომ მრწამსი და შეხედულება შეიძლება გავრცელდეს ზეპირი და წერილობითი მეტყველების საშუალებით, ხელოვნების

ნებისმიერი სახეობის ან თანამედროვე საშუალებების, მაგალითად, ტელევიზიის, რადიოს ან ინტერნეტის საშუალებით. საზოგადოებაში კონკურირებადი იდეების არსებობას და ადამიანების თავისუფლებას – გამოხატონ ამგვარი იდეები დიდი მნიშვნელობა აქვთ მართვის დემოკრატიზაციისათვის. გამოხატვის თავისუფლება ხელს უწყობს დემოკრატიის განვითარებას, რადგან ის შეესაბამება ცალკეული ადამიანის რწმენის თავისუფლებისა და სიტყვის თავისუფლების უფლებას რაციონალური ურთიერთობის მოთხოვნილებიდან გამომდინარე. სანსტეინისათვის (Sunstein 2002, p.39) “ჯანსაღი დემოკრატიული სისტემა ისწრაფვის უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღება მოწოდებული ინფორმაციისა და განსჯის საფუძველზე და არა უბრალოდ ცალკეული იმპულსური, შესაბამისი სახით შეგროვილი შეხედულებებით”. ეს ყველაზე ადვილად მიიღწევა შეხედულებათა და თვალსაზრისთა ფართო სპექტრით. იდეების ბაზარზე კონკურირებადი არგუმენტების სარგებლიანობა გამოიკვლია მილმა (Mill, 1859), იგი დარწმუნებული იყო, რომ სიბრძნის შეძენა შეიძლება მხოლოდ მრავალი თვალსაზრისის გაცნობის შედეგად, რომელთა ცოდნაც აუცილებელია ჩვენი საკუთარი პირადი პრინციპების ანალიზისა და მოდიფიცირებისთვის. ურთიერთსაწინააღმდეგო და მცდარ შეხედულებათა ხელმისაწვდომობა აუცილებელია, თუ ადამიანი ჭეშმარიტებისკენ ისწრაფვის, იმდენად, რამდენადაც “სწორედ ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებათა შეჯახების შედეგად რჩება რაღაც შანსი ჭეშმარიტების მოსაძებნად” (Mill, 1859, p.111)

Freedom of information – ინფორმაციის თავისუფლება

საზოგადოება, რომელიც გამოხატვის თავისუფლების ერთგულია, ქმნის პირობებს ინფორმაციის თავისუფლებისათვის. ბიბლიოთეკარებისთვის “ინფორმაციის თავისუფლება” ყოვლისმომცველი, მაგრამ გაურკვეველი ტერმინია, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ინფორმაციის ნებისმიერი ფორმით გავრცელებაზე შეზღუდვების მიუღებლობის გამოსახატავად. ამ ფართო გაგებით ინფორმაციის თავისუფლება დაკავშირებულია აზრის თავისუფლების, ინტელექტუალური თავისუფლების, სიტყვის თავისუფლებისა და გამოხატვის

თავისუფლების ძველ იდეებთან, რომლებიც სათავეს ბერძნული სახელმწიფოს დროიდან იღებენ.

ინფორმაციის თავისუფლება შეიძლება პირდაპირ იყოს დაკავშირებული კანონმდებლობასთან. ამ შემთხვევაში ეს ტერმინი ნიშნავს საზოგადოების უფლებას ხელი მიუწვდებოდეს ოფიციალურ ინფორმაციაზე. ეს დაკავშირებულია სახელისუფლებო სტრუქტურების გახსნილობის იდეასთან, ანუ კონცეფციასთან, რომელიც მოიცავს საზოგადოების დაკვირვებას მთავრობის სხდომებზე და გადაწყვეტილებათა დაგეგმვასა და მიღებასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციებში მონაწილეობას. კანონის საფუძველში ინფორმაციის თავისუფლების შესახებ ჩადებული იდეა იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოებას უფლება მიეცეს ხელი მიუწვდებოდეს იმ ინფორმაციაზე, რომელსაც ფლობენ სახელმწიფო სტრუქტურები. განსაზღვრებაში მთავარი პრინციპია “ფაილებზე ხელმისაწვდომობა”, სადაც ფაილები – დოკუმენტებია, რომლებიც კონცენტრირებულია ხელისუფლების ხელში მის ყველა დონეზე, ადგილობრივიდან დაწყებული ნაციონალურ დონემდე. ფაილები ასევე იკრიბება კერძო სექტორის მიერ, უმთავრესად კომერციული ორგანიზაციებით. ცალკეულ პირებს შეუძლიათ მოითხოვონ ფაილებთან დაშვება მათ შესახებ არსებული ინფორმაციის წესიერებაში, აკურატულობასა და სისრულეში დასარწმუნებლად, უზუსტობების აღმოჩენის შემთხვევაში ჩანაწერებში შეატანიონ შესწორებები. ფაილების ხელმისაწვდომობის შედეგად პოლიტიკური პროცესი შეიძლება დაექვემდებაროს დაწვრილებით ანალიზს, რომლის მიზანიც შეიძლება გახდეს შესაბამისი აღრიცხვიანობის მოთხოვნა, რაც, საბოლოო ჯამში, დააახლოებს ხალხს სახელმწიფო ხელისუფლებასთან.

Illegal Content – აკრძალული შინაარსი (კონტენტი)

აკრძალული შინაარსი ის შინაარსია, რომელიც გვხვდება შესაბამისი იურისდიქციით მოქმედი კანონმდებლობით აკრძალულ კატეგორიებში, როგორებიცაა, მაგალითად, უხამსობა, ასევე მუქარა საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის ანუ კონფიდენციალურობის საფრთხე.

Indigenous Peoples – ძირძველი მოსახლეობა, ადგილობრივი ხალხები

იმდენად, რამდენადაც არ არსებობს ტერმინი "ძირძველი მოსახლეობის" სტანდარტული განსაზღვრება, ეს ტერმინი ასოცირდება კულტურულ ჯგუფებთან (და მათ შთამომავლებთან), რომლებსაც გააჩნიათ ისტორიული ერთიანობა ან დაკავშირებული არიან მოცემულ რეგიონთან ან მის ნაწილთან და რომლებიც მოცემულ რეგიონში კოლონიზაციამდე ცხოვრობდნენ და აგრძელებენ ცხოვრებას აწმყოში. ეს ტერმინი გამოიყენება ასევე იმ ჯგუფებთან, რომლებიც დამოუკიდებელნი არიან ან მნიშვნელოვანწილად იზოლირებულნი არიან ერი-სახელმწიფო მმართველობის გავლენისაგან და რომლებიც ინარჩუნებენ, ყოველ შემთხვევაში, ნაწილობრივ მაინც, თავიანთ განმასხვავებელ ენობრივ, კულტურულ და სოციალურ/ორგანიზაციულ თვისებებს და ამგვარად, რამდენადმე განსხვავდებიან გარემო მოსახლეობისაგან და ერი-სახელმწიფოს დომინირებული კულტურისაგან. დაბოლოს, ეს ტერმინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ ხალხის აღსანიშნავად, რომლებიც თვითონ თვლიან თავის თავს ადგილობრივად, აგრეთვე იმ ხალხებს, რომელთაც ადგილობრივებად თვლიან მოსახლეობის სხვა ჯგუფები. ადგილობრივი ხალხის აღსანიშნავი სხვა ტერმინებია „აბორიგენები“, „ადგილობრივი მოსახლეობა“, „ძირძველი მოსახლეობა“, „მეოთხე სამყარო“, „პირველი ტომები“ და „ავტოქტონური ხალხები“.

Information Literacy – ინფორმაციული წიგნიერება

ინფორმაციული წიგნიერების ცნება, როგორც წესი, ნიშნავს საინფორმაციო წყაროებით ეფექტიანი სარგებლობის უნარს, რა გულისხმობს ინფორმაციის ანალიზსა და შეფასებას, ასევე მის ორგანიზებასა და გამოყენებას – ინდივიდუალურად ან ჯგუფში. თუ მომხმარებლებს არ შეუძლიათ სწორად გაიგონ ან დაამუშაონ ინფორმაცია, ინფორმაციაზე დაშვების ცნებამაც კი შეიძლება აზრი დაკარგოს. შესაბამისად, ინფორმაციის კრიტიკული ანალიზისათვის აუცილებელი უნარების სრულყოფა მეტად მნიშვნელოვანია, ხოლო ინფორმაციული განათლების

პროგრამები კი ბიბლიოთეკაში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მისაღები პოლიტიკის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს უნდა წარმოადგენდნენ.

Intellectual Freedom – ინტელექტუალური თავისუფლება

ინტელექტუალური თავისუფლების ცნება განუყრელადაა დაკავშირებული იმ პრობლემებთან, რომლებიც წარმოიშობა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასთან, მაგალითად, ისეთ შეზღუდვასთან, რომლებიც შეეხება მომხმარებლის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას და ინფორმაციასთან თავისუფალ დაშვებას, ცენზურასთან დაკავშირებული საკითხების ჩათვლით. ინტელექტუალური თავისუფლება ავტონომიურობის ფუნქციაა, რომელსაც ინდივიდები ფლობენ ინფორმაციის ნაკადებთან დაკავშირებით, რომელიც მათკენ, მათგან და მათ შესახებ მიედინება. საზოგადოების ცალკეული ინდივიდების ინტელექტუალური თავისუფლების ხარისხზე არსებით გავლენას ახდენს სამართლებრივი სისტემა, რომელიც აწესრიგებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, საკუთრებისა და გამოყენების უფლებას.

Intellectual Property – ინტელექტუალური საკუთრება

ინტელექტუალური თავისუფლება არ შეიძლება ყვაოდეს ინფორმაციის უწყვეტი ნაკადის გარეშე, რამდენადაც არ არსებობს ინფორმაციის წყაროების უზარმაზარი მრავალფეროვნების უზრუნველყოფის სხვა საშუალება. ინფრასტრუქტურა, რომელიც ინფორმაციის ამგვარი ნაკადის შექმნას ეხმარება, ხელს შეუწყობს მოსალოდნელ ცვლილებებსა და შემოქმედებით პროცესს, ხოლო სხვა ნებისმიერი წესი გავლენას მოახდენს ინფორმაციის წარმოების მომავალზე. ინტელექტუალური საკუთრების სისტემა შეიქმნა მისი შემქმნელების დასაჯილდოებლად და, ამასთან, სიახლეთა ხელშეწყობისთვის, თუმცა, საავტორო უფლებების მფლობელთა ინტერესთა დაცვასა და საზოგადოებრივი მონაპოვრის ფლობის აუცილებლობას შორის არსებული წინააღმდეგობა რთული გადასაწყვეტია.

Internet-accessible Information Resources – ინტერნეტით ხელმისაწვდომი

საინფორმაციო რესურსები

საინფორმაციო რესურსები, როგორებიცაა წიგნები, ჟურნალები, გაზეთები, ფილმები, აუდიო და ვიდეო ჩანაწერები ან კომპიუტერის მეხსიერებაში, მაგნიტურ ლენტზე, სტაციონარულ, გადასატან და კომპაქტურ დისკებზე დაგროვილი მონაცემები, მოსწავლეთა ხელთ არსებული ცოდნის კოლექციაა. ინტერნეტის საშუალებით ხელმისაწვდომი რესურსები კი ისეთი რესურსებია, რომელთა ხელმისაწვდომობაც შეიძლება განხორციელდეს დისტანციურად, ინტერნეტის საშუალებით, ამასთან, გაციფრებული მზა ინფორმაცია შეიძლება მომხმარებლისგან მოშორებით ინახებოდეს. ამგვარი ინფორმაციის მიღება შეიძლება world-wide-web-ის ან მონაცემთა ცალკეული ბაზების საშუალებით, რომელთა გამოყენებაც შეუძლიათ ბიბლიოთეკებს. უფრო მეტიც, იმდენად, რამდენადაც მომხმარებლებიც ინფორმაციის თავისებურ საცავს წარმოადგენენ, ელექტრონული ფოსტა, სადისკუსიო ჯგუფები, მნიშვნელოვანი ჩეთ-კლუბები და ადრესატების სიები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბიბლიოთეკის მიერ ინტერნეტთან დაშვების საშუალებით. ამ რესურსების ხელმისაწვდომობის აუცილებელი წინაპირობაა კომპიუტერული ქსელის მიერთებისა და დაშვებისათვის საჭირო მატერიალური ბაზა, აგრეთვე რესურსები და მომსახურება. მომხმარებლისთვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს რესურსებსა და მომსახურებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ძიებას აზრი არ აქვს. მომხმარებლებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ წარმატებით განათავსონ, მოიძიონ და გამოიყენონ სხვადასხვა კომპიუტერულ სისტემებში არსებული ინფორმაცია. რა თქმა უნდა, ამ ასპექტისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მომხმარებლის უნარებს. დაბოლოს, მოძიებული შინაარსი, იმის გარდა, რომ უნდა პასუხობდეს მოთხოვნას, ვარგისი და გამოსაყენებელი უნდა იყოს არა მხოლოდ ტექნოლოგიის დარგის სპეციალისტებისთვის, არამედ ყველა მოქალაქისთვისაც. ეს იმას ნიშნავს, რომ “ხელმისაწვდომობისთვის” ინფორმაცია მოპოვებული უნდა იყოს ისეთი ფორმით, რომ შეიძლებოდეს მისი წაკითხვა, ნახვა, ან შემოქმედებითად გამოყენება.

Net Neutrality – ქსელის ნეიტრალურობა

ქსელის ნეიტრალურობა არის პრინციპი, რომელიც ჩადებულია ქსელის არსში. ის გულისხმობს ინოვაციების ხელშეწყობას, ქსელური მომსახურების მომწოდებელ კომპანიებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სატელეფონო ან საკაბელო ხაზების საშუალებით ინტერნეტზე დაშვებას, არ უნდა ჰქონდეთ ქსელის გამოყენებაზე კარნახის უფლება (ანუ, არ უნდა კრძალავდნენ პროგრამების განსაზღვრულ ტიპებს ან ქსელთან გარკვეული ტიპის მოწყობილობების მიერთებას). ქსელის ნეიტრალურობა მჭიდროდ უკავშირდება ქსელში გამჭოლი გადაცემის კონცეფციას, რომლის შესაბამისად ყველა ქსელი უბრალოდ აერთებს მოწყობილობებს და ვერ აღიქვამს მათზე მიერთებული დანართების მოთხოვნებს.

Open Access – ღია ხელმისაწვდომობა, დაშვება

ღია ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ურთიერთობის სისტემის მთლიანობას და გარანტიას იძლევა, რომ ყველა გამოკვლევა და ფუნდამენტური ცოდნა ხელმისაწვდომი იქნება მუდმივად, შეუზღუდავი შესწავლისთვის და, იქ, სადაც ეს მნიშვნელოვანია, სრულყოფისა და უარყოფისთვის. როგორც განმარტებულია იფლა-ს განცხადებაში სამეცნიერო ლიტერატურისა და კვლევითი დოკუმენტაციის ღია ხელმისაწვდომობის შესახებ, ხელმისაწვდომ პუბლიკაციებს განეკუთვნებიან პუბლიკაციები, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ ორ პირობას:

1. საავტორო უფლებების ავტორები და მფლობელები ყველა მომხმარებელს გარანტიას აძლევენ თავიანთი ნაშრომების თავისუფალი, შეუცვლელი, მუდმივი (საავტორო უფლებების გამოყენების პერიოდში) ხელმისაწვდომობის უფლებას მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან. ისინი ასევე გასცემენ ლიცენზიას ასლის გადაღებაზე, გამოყენებაზე, თავიანთი ნაშრომების გავრცელებასა და მათ საჯარო გამოფენაზე; ნებისმიერ ციფრულ გარემოში ნებისმიერი გონივრული მიზნებისთვის წარმოებული ნაშრომების შექმნასა და გავრცელებაზე, შესაბამისი საავტორო ატრიბუციის მითითებით; აგრეთვე პირადი სარგებლობისთვის მცირე რაოდენობის ბეჭდური ასლების დამზადებაზე.

2. ნაშრომის სრული ვერსია და ყველა თანმდევი მასალა, ზემოთ აღნიშნული განთავსების ასლის ჩათვლით, შესაბამისი სტანდარტის ელექტრონულ ფორმატში განთავსდება დაუყოვნებლად, პირველი პუბლიკაციისთანავე, როგორც მინიმუმ, ერთ ონლაინ საცავში. ასეთი საცავი ხელშეწყობილი უნდა იყოს სამეცნიერო ინსტიტუტის, სამეცნიერო საზოგადოების, სამთავრობო სააგენტოს ან რომელიმე სხვა სანდო ორგანიზაციის მიერ, რომლებიც ისწრაფვიან უზრუნველყონ ღია ხელმისაწვდომობა, შეუზღუდავი გავრცელება, ინფორმაციული თავსებადობა და ხანგრძლივი დროით შენახვა.

პუბლიკაციის ხელმისაწვდომობა დამახასიათებელია ცალკეული ნაშრომებისთვის, მაგრამ სავალდებულო არ არის ჟურნალების ან გამომცემლობებისთვის.

Public Access Points – საზოგადოებრივი ხელმისაწვდომობის ადგილები

საზოგადოებრივი ხელმისაწვდომობის ადგილებია ინტერნეტთან მიერთებული ლოკალური კომპიუტერული ქსელის კვანძები, რომლებიც განკუთვნილია საზოგადოებრივი გამოყენებისთვის სრულმასშტაბიანი საინფორმაციო ძიების ჩასატარებლად. საზოგადოებრივი დაშვების ადგილები შეიძლება განთავსდეს საჯარო ბიბლიოთეკებში, მაგრამ ასევე შეიძლება განთავსდეს კულტურულ ცენტრებსა და საინფორმაციო ბიუროებშიც. მათი მართვის პრინციპში ჩადებულ მრავალ პრინციპს იყენებენ კერძო მფლობელობაში არსებული საზოგადოებრივი ხელმისაწვდომობის ადგილებიც, როგორებიცაა კიბერკაფე, ტელეკომუნიკაციის ცენტრები და სხვადასხვა ტიპის კიოსკები. სპეციალიზებული ინსტიტუტები, როგორებიცაა მუზეუმები, არქივები და სხვა კულტურული და საინფორმაციო ცენტრები, ასევე სთავაზობენ საზოგადოებრივი ხელმისაწვდომობის ადგილებს, თუმცა ამგვარ სპეციალიზებულ ინსტიტუტებს შეუძლიათ დააწესონ შეზღუდვები თემატიკაზე, რაც განსაზღვრულია ხელმისაწვდომობის მისაღები ჩარჩოებით. მიუხედავად ამისა, სრულმასშტაბიანი ხელმისაწვდომობის მართვის მრავალი პრინციპი ამ კატეგორიის დაწესებულებებისთვისაც გამოიყენება.

Privacy – პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

ბიბლიოთეკისთვის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება არის შეკითხვების ღიად დასმის უფლება, საკუთარ ინტერესის საგანზე სხვათა მხრიდან ყურადღების მიქცევის გარეშე. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების გაგება იწყება იმის შეგნებით, რომ ცალკეულ ადამიანს თავისი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებზე აქვს ერთგვარი საკუთრების უფლება. ეს ნიშნავს განმარტობისა და თავის გარშემო სივრცის არსებობის უფლებას; უფლებას, იყოს მოსვენებული თავისი ფიზიკური შეგრძნებების სფეროში გარეშე პირთა შეჭრისაგან. ეს ნიშნავს უფლებას ანონიმურობაზე და საკუთრების უფლებას თავის სახელზე და თავისი ცხოვრების წვრილმან მხარეებზე. შესაბამისად კი, ზედმეტი საჯაროობის თავის არიდების შესაძლებლობას.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ვრცელდება ფსიქოლოგიურ ხელშეუხებლობაზე ანუ საკუთარი აზრების შინაარსსა და საკუთარი გონების მუშაობაზე საკუთრების უფლებაზე. ადამიანი თავისუფალი უნდა იყოს დაჟინებული კითხვებისაგან თავისი აზრებისა და ცოდნის შესახებ. დაბოლოს, კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობა ნიშნავს, რომ ადამიანი რჩება მესამე მხარისათვის განდობილი პირადი ხასიათის ინფორმაციის მესაკუთრედ და ინარჩუნებს შესაძლებლობას, შეწყვიტოს ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა იმ ადამიანებისთვის, ვისაც თავდაპირველად ის გაანდო. ამაში მდგომარეობს კონფიდენციალურობა.

მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს, რომ ინფორმაციაზე დაშვება არ მოხდეს მომხმარებლის კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევით. ამ შემთხვევაში კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობა ნიშნავს არჩევანის თავისუფლებას, რა დონემდე შეიძლება იყოს პირადი ხასიათის ინფორმაცია გამოძიებული, შეკრებილი, გახმოვანებული და გავრცელებული. მომხმარებლები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ ბიბლიოთეკის წესების შესახებ, რომლებიც ეხება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. ინფორმაციის მიღებისა და გადაცემისას უფლება ანონიმურობასა და კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობაზე დაცული უნდა იყოს როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის არსებულ სისტემაში. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის დროს შეიძლება უამრავი მიზეზი არსებობდეს საიმისოდ, რომ ადამიანმა არ გაანდოს სხვებს თავისი საქმიანობის

შინაარსი, მაგალითად, ორიგინალური გამოკვლევების დაცვა, აზრის მიმართულების არაორთოდოქსალური შესწავლა ან დაცვა/შენახვა. შესაბამისად, ბიბლიოთეკა უნდა იცავდეს მომხმარებლის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას და სთავაზობდეს ნეიტრალურ სივრცეს, რომელშიც შეიძლება ინდივიდუალურობის შენარჩუნება.

Unhampered – დაუბრკოლებელი

მომხმარებლებს საშუალება უნდა ჰქონდეთ ინტერნეტში ინფორმაცია მიიპოვონ იმ დაბრკოლებების გარეშე, რომლებიც ხელს უშლიან საინფორმაციო ძიების პროცესს. მაგალითად, თუ ბიბლიოთეკის მომხმარებლებმა იციან, რომ მათი არჩევანი კითხვაზე მოწმდება მესამე მხარის მიერ ან თუ პირადი ცხოვრების წვრილმანები კონფიდენციალურობის პირობების დაცვით არ ინახება, მაშინ დიდია ალბათობა იმისა, რომ ზოგიერთმა მომხმარებელმა გარკვეული კომპლექსი იგრძნოს ინფორმაციული ძიების საკუთარ არჩევანთან დაკავშირებით. მომხმარებლები, რომლებიც დაკავებული არიან ისეთი რთული საკითხების ან დელიკატური თემების კვლევებით, როგორებიცაა დემოკრატია დახურული რეჟიმის პირობებში ან გამოკვლევები აკრძალული ნარკოტიკების ან ასაფეთქებელი ნივთიერებების სფეროში, შეიძლება შეეჯახონ კვლევების თავისუფლების შეზღუდვას. გამოხატვის უფლება, რომელსაც მომხმარებელი განახორციელებს ინფორმაციის მოძიების მიმართულების არჩევის საშუალებით, იზღუდება თავისი ანონიმურობისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უუნარობით. უდავოა, რომ პირადი ცხოვრებისადმი დამოკიდებულება მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვადასხვა საზოგადოებებში მთელ მსოფლიოში, თუმცა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება სულ უფრო მეტ მომხრეებს ჰპოვებს განვითარებად ქვეყნებშიც. უფრო მეტიც, სხვადასხვა ქვეყნებში ან მსოფლიოს რეგიონებში პოლიტიკური მდგომარეობა, მაგალითად, “ომი ტერორის წინააღმდეგ”, ასევე გავლენას ახდენს იმ ატმოსფეროზე, რომელშიც მუშაობენ ბიბლიოთეკები. და, მაინც, ბიბლიოთეკები, როგორც შუამავლები ინფორმაციის შეთავაზებაში, უნდა უზრუნველყოფდნენ ინფორმაციის მაქსიმალურად დაუბრკოლებელი ძიების პირობებს. ნაკლებად სარწმუნოა, რომ გაჩნდეს ამგვარი პირობები, თუ მომხმარებლის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება დისკრედიტირებული იქნება.

User-friendly Interface (UFI) – მომხმარებლისთვის მოსახერხებელი ინტერფეისი

მომხმარებლისთვის მოსახერხებელი ინტერფეისი, (მაგალითად, ვებ-ბრაუზერი) განკუთვნილია იმისათვის, რომ დაეხმაროს მინიმალური ტექნიკური უნარების მქონე ადამიანს მართოს თავისი გადაადგილებები ქსელში. საერთოდ, USI გასაგები და სასიამოვნო უნდა იყოს თვალისთვის და სტილით ერთგვაროვანი, ის უნდა სთავაზობდეს ინფორმაციას მომხმარებლისთვის გასაგებ ენაზე, მიესადაგებოდეს სხვადასხვა ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანებს (მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები ან სხვა ფიზიკური უნარების შეზღუდვა). ის ინტუიციური გასაგები უნდა იყოს იმისათვის, რომ მომხმარებლებმა შეძლონ ინტერფეისთან მუშაობისას გამოიყენონ ადრე შეძენილი უნარები. მიუხედავად მომხმარებლის შეცდომებისა, მან უნდა შეინარჩუნოს მუშა მდგომარეობა. ამგვარი ინტერფეისი დაეხმარება მომხმარებელს გაიაროს რთული ალტერნატივები და უზრუნველყოს ვიზუალური ინფორმაცია გამოყენებაზე, რაც ინფორმაციის ძიებას ქსელში უფრო სასიამოვნოს გახდის.

Wiki – ვიკი

Wiki არის ვებ საიტის ტიპი, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს იოლად დაამატოს ნებისმიერი შინაარსი (კონტენტი) და განსაკუთრებით შესაფერისია ერთობლივი წერისთვის. სიტყვა “Wiki” მომდინარეობს ჰავაური სიტვა “Wiki”-დან, რაც ნიშნავს “სწრაფად”. არსებითად, “Wiki” არის HTML ვებ გვერდების შექმნის გამარტივებული პროცესი, იმ სისტემასთან ერთად, რომელიც რეგისტრაციაში ატარებს დროთა განმავლობაში მომხმარებელს თითოეულ ცალკეულ ცვლილებას, ისე, რომ ნებისმიერ მომენტში გვერდი შეიძლება დაბრუნდეს ნებისმიერ წინა მდგომარეობაში. “Wiki”-ს სისტემას ასევე შეუძლია სხვადასხვა ინსტრუმენტების შეთავაზება, რომლებიც მომხმარებელთა საზოგადოებას საშუალებას აძლევს ადვილად მიაღწეონ თვალი “Wiki”-ს მუდმივად ცვლად მდგომარეობას და განიხილონ “Wiki”-ს შინაარსთან (კონტენტთან) დაკავშირებული საერთო შეთანხმების მიღწევის მცდელობისას წარმოშობილი საკითხები. “Wiki”-ს

შინაარსს (კონტენტს) შეცდომაში შეყვანაც შეუძლია, იმდენად, რამდენადაც მომხმარებლებს შეუძლიათ დაამატონ არასწორი ინფორმაცია “Wiki”-ს გვერდზე. ზოგიერთი “Wiki” სთავაზობს აბსოლუტურად შეუზღუდავ ხელმისაწვდომობას, ისე, რომ ადამიანებს შეუძლიათ თავისი წვლილი შეიტანონ “რეგისტრაციის” გავლის აუცილებლობის გარეშე, რასაც, ჩვეულებრივად ითხოვდნენ განსხვავებული ტიპის ინტერაქტიული ვებ გვერდების, როგორებიცაა ინტერნეტის ან ჩეთ-ების ფორუმები.

დანართი :

იფლას მანიფესტი ინტერნეტზე

ინფორმაციაზე დაუბრკოლებელი ხელმისაწვდომობა აუცილებელია თავისუფლების, თანასწორობის, საყოველთაო გაგებისა და მშვიდობისათვის. ამიტომ, საბიბლიოთეკო ასოციაციებისა და დაწესებულებათა საერთაშორისო ფედერაცია (იფლა) აცხადებს, რომ:

- ინტელექტუალური თავისუფლება – ეს არის თითოეული ადამიანის უფლება როგორც მრწამსის, ასევე მათი გამოხატვის თავისუფლების ფლობა, უფლება ინფორმაციის მოძიებასა და მიღებაზე; ინტელექტუალური თავისუფლება დემოკრატიის საფუძველს წარმოადგენს; ინტელექტუალური თავისუფლება ჩადებულია საბიბლიოთეკო მოღვაწეობის საფუძველში.

- ინფორმაციაზე თავისუფალი დაშვების უზრუნველყოფა, მიუხედავად მისი გადაცემის საშუალებებისა ან სახელმწიფოს საზღვრებისა, წარმოადგენს საბიბლიოთეკო და საინფორმაციო პროფესიების მთავარ მოვალეობას.

- ინტერნეტთან დაუბრკოლებელი დაშვების უზრუნველყოფა ბიბლიოთეკებსა და საინფორმაციო დაწესებულებებში საზოგადოებრივ ჯგუფებსა და ინდივიდუალურ პირებს ეხმარება მიაღწიონ თავისუფლებას, წინსვლას და ეხმარებიან მათ განვითარებაში.

- დაბრკოლებები საინფორმაციო ნაკადის გზაზე უნდა აღმოიფხვრას, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც ხელს უწყობენ უთანასწორობის, სიღარიბისა და სასოწარკვეთილების გავრცელებას.

ინფორმაციის თავისუფალი ხელმისაწვდომობა, ინტერნეტი და ბიბლიოთეკები და საინფორმაციო სამსახურები

ბიბლიოთეკები და საინფორმაციო სამსახურები – ის დაწესებულებებია, რომლებიც მუდმივად რეაგირებენ ცვლილებებზე და აერთიანებენ ადამიანებს იმ მსოფლიო საინფორმაციო რესურსებით, იდეებითა და შემოქმედების ნაყოფით, რომელსაც ისინი ეძიებენ. ბიბლიოთეკები და საინფორმაციო სამსახურები, იყენებენ რა ყველა საინფორმაციო საშუალებას, ხელმისაწვდომს ხდიან ადამიანური ცოდნისა და კულტურული მრავალფეროვნების მთელ სიმდიდრეს.

ინტერნეტის მსოფლიო ქსელი სთავაზობს მთელ მსოფლიოში ყველაზე პატარა და მოშორებულ სოფლებსა თუ დიდ ქალაქებში მცხოვრებ ინდივიდუალურ პირებსა და საზოგადოებრივ ჯგუფებს თანაბარ დაშვებას ინფორმაციასთან პირადი სრულყოფისთვის, განათლების, კულტურული განვითარების, ეკონომიკური მოღვაწეობისა და დემოკრატიის პროცესში ინფორმირებული მონაწილეობისთვის.

ბიბლიოთეკები და საინფორმაციო სამსახურები უზრუნველყოფენ ინტერნეტზე დაშვების მნიშვნელოვან გზებს. თუ ერთ მომხმარებელს ისინი სთავაზობენ პირობებს, სახელმძღვანელო მითითებებსა და დახმარებას, სხვებისთვის ისინი წარმოადგენენ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ერთადერთ წერტილს. ისინი სთავაზობენ მექანიზმს, რომელსაც შეუძლია გადალახოს განსხვავებული რესურსებით, ტექნოლოგიებითა და სწავლებით შექმნილი წინააღმდეგობები.

ინტერნეტში ინფორმაციასთან თავისუფალი დაშვების პრინციპები

ინტერნეტზე და ყველა მის რესურსზე ხელმისაწვდომობა უნდა შეესაბამებოდეს გაეროს ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციას და, განსაკუთრებით, მე-19 მუხლს:

“ყოველ ადამიანის აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოხატვისა: ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას დაუბრკოლებლად იქონიოს თავისი მრწამსი და ეპიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებებით და სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად”.

ინტერნეტის გლობალური ურთიერთკავშირი იძლევა იმის საშუალებას, რომ ყველამ ისარგებლოს ამ უფლებით. ამის შედეგად ეს ხელმისაწვდომობა არ უნდა იზღუდებოდეს რაიმე ფორმის იდეოლოგიური, პოლიტიკური ან რელიგიური ცენზურით ან ეკონომიკური ბარიერებით.

ბიბლიოთეკები და საინფორმაციო სამსახურები მოვალენი არიან ასევე შესთავაზონ მომსახურება ადგილობრივი საზოგადოების ყველა წევრს მიუხედავად მათი ასაკის, რასის, ეროვნების, რელიგიის, კულტურის, პოლიტიკური კუთვნილების, ფიზიკური ან სხვა გადახრის, სქესის ან სექსუალური ორიენტაციის ან რაიმე სხვა მიზეზისა.

ბიბლიოთეკები და საინფორმაციო სამსახურები ხელს უნდა უწყობდნენ მომხმარებელთა უფლებებს მათ მიერ არჩეული ინფორმაციის მოძიებაზე.

ბიბლიოთეკები და საინფორმაციო სამსახურები პასუხისმგებელი არიან საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ხარისხიანი ინფორმაციისა და კომუნიკაციის საშუალებების შეთავაზებაზე.

მომხმარებლის მიერ შერჩეული საინფორმაციო წყაროებისა და მომსახურების თავისუფალი და კონფიდენციალური გამოყენებისთვის შეთავაზებული უნდა იყოს აუცილებელი კვალიფიციური დახმარება და შესაბამისი პირობები.

ინტერნეტში ხელმისაწვდომია უამრავი ღირებული რესურსი, მაგრამ არის არასაიმედოც, შეცდომაში შემყვანი და, შესაძლოა, შეურაცხმყოფელიც კი. ბიბლიოთეკარებმა მომხმარებელს ინფორმაცია და რესურსები უნდა შესთავაზონ ინტერნეტში და ელექტრონულ ინფორმაციასთან მუშაობის ხარისხიანი და ეფექტური უნარების სწავლებით. მათ აქტიურად უნდა წამოსწიონ წინ და უზრუნველყონ ბიბლიოთეკის ყველა მომხმარებლისთვის, ბავშვებისა და მოზარდების ჩათვლით, ხარისხიანი ქსელური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

ისევე, როგორც ბიბლიოთეკის სხვა ძირითადი მომსახურების შემთხვევაში, ბიბლიოთეკებსა და საინფორმაციო სამსახურებში ინტერნეტთან დაშვება უფასო უნდა იყოს.

მანიფესტის განხორციელება

იფლა მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებრიობას ხელი შეუწყოს ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გაფართოებას მთელ მსოფლიოში და, განსაკუთრებით, განვითარებად ქვეყნებში და, ამგვარად, უზრუნველყოს ინტერნეტით შეთავაზებული ინფორმაციიდან მიღებული გლობალური სარგებელი.

იფლა მოუწოდებს ეროვნულ მთავრობებს განავითარონ ეროვნული საინფორმაციო ინფრასტრუქტურა, რომელიც შესთავაზებს ქვეყნის მთელ მოსახლეობას ინტერნეტის ხელმისაწვდომობას.

იფლა მოუწოდებს ყველა მთავრობას ხელი შეუწყონ ბიბლიოთეკებსა და საინფორმაციო სამსახურებში ინტერნეტით ხელმისაწვდომი ინფორმაციის დაუბრკოლებელ მიღებას და წინ აღუდგნენ ცენზურის ან ხელმისაწვდომობის შეზღუდვის ნებისმიერ გამოვლინებას.

იფლა მოუწოდებს საბიბლიოთეკო საზოგადოებას და ოფიციალურ პირებს ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე, შეიმუშაონ სტრატეგია, პოლიტიკა და გეგმები, რომლებიც განახორციელებენ ამ მანიფესტით გაცხადებულ პრინციპებს.

ეს მანიფესტი მომზადებულია იფლა-ს მიერ მოწონებულია იფლა-ს ხელმძღვანელობის მიერ 2002 წლის 27 მარტს. ჰააგა, ნიდერლანდები.

გაცხადებულია იფლა-ს მიერ 2002 წლის 1 მაისს.

მიღებულია ერთხმად იფლა-ს 68-ე გენერალური კონფერენციის საბჭოს და იფლა-ს საბჭოს სხდომებზე 2002 წლის 23 აგვისტოს. გლაზგო, შოტლანდია.

**თარგმნა პარლამენტის სამეცნიერო-საინფორმაციო
უზრუნველყოფის განყოფილების უფროსმა სპეციალისტმა
მზია ხოსიტაშვილმა**